1918
ბ. 4° 214
ეროვნული ბიბლიოთეკა
911

წელიწადი პირველი

ტფილისი
1918 წ.
კვირა 29 დეკემბერი.

№ 5.



# რესპუბლიკის ჯარი

ყოველ-კვირეული ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი“
(სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებული სამეცნიერო და სალიტერ. განყოფილებით).
ამიერიდან გამოდის გადიდებული ფორმატით და განახლებული რედაქციით.
ჟურნალი წლის დამლევამდე ღირება 5 მან., ცალკე ნომერი 1 მ. 50 კ.

ჟურნალისთვის ყოველგვარი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ბარონის (კალოუბნის) ქ. ოფიციალურ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია—ჟურნალ „რესპუბლიკის ჯარისთვის“. ჟურნალის „რესპუბლიკის ჯარის“ სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, გარდა უქმეებისა, 1—3 საათამდე. ჟურნალის კანტორა ღიაა—10—3 საათამდე.

## შინაარსი:

1) საქართველოს გზა (მოწინავე) **ვ. ნოზაძე.**
2) ჯარში მეცადინეობის შესახებ ა. ბ.
3) საუბარი ჯარის კაცთან **ივ. გომართელი.**
4) სამხედრო საქმე რომის რესპუბლიკაში ა. ს.
5) ოფიცრები ჯარში **თ. ჩიქვანაია.**
6) საფრანგეთის მთავარი შტაბი.
7) წერილები სხვა და სხვა ქვეყნის პოლიტიკურ წეს-წყობილებაზე **პ. საყვარელიძე.**
8) კვირეული მიმოხილვა **ვ. მოძველი.**
9) გლეხთა მოძრაობა სამურზაყანოში **პოდპ. იოსავა.**
10) პრესა.
11) ქრონიკა და სხ.

# სამხედრო ჟურნალი

# „რესპუბლიკის ჯარი“.

(სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებული ლიტერატურულ-სამეცნიერო განყოფილებით)

## ოფიციალი მანყოფილება.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ბ ი

**რესპუბლიკის ჯარების მიმართ**

17 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 116

რადგანაც წმ. გიორგის სათათბიროს ზოგიერთი წევრი სხვა და სხვა მიზეზების გამო ადგილობრივ არ იმყოფება, წმ. გიორგის სტატუტის მე-20 მუხ. ძალით სათათბიროს დამატებითს წევრათ ვნიშნავ მე-2 ქვეითა დივიზიის ბრიგადის უფროსს გენერალ-მაიორ ს უ მ ბ ა თ ა შ ვ ი ლ ს.

17 დეკემბერი 1918 წ, ქ. ტფილისი.

№ 117

მე-5 ქვეითა პოლკის მე-9 გუნდის უნტერ-ოფიცრის გიორგი შათირიშვილის და ამავე პოლკის მე-2 გუნდის ჯარის კაცების ალექსანდრე გზირიშვილის, ივანე საგიაშვილის და სანდალა საბაშვილის ყოფილს მანთაშევის წისქვილში სადარაჯოდან მოხსნის დროს, მივიდნენ მათთან ვილაც ოთხი უცნობი ბოროტგამზრახველები და შეაძლიეს 450 მ., რათა აღნიშნულ ჯარისკაცებს მათთვის ხელი არ შეეშალათ რამოდენიმე ტომარა ფქვილის საწყობიდან გატანაში. ყოველივე ეს მოახსენეს მორიგ ოფიცერს, კაპიტან კაბულიშვილს, რომელმაც მყისვე მოახდინა ფიცხელი განკარგულება, ვინაიდან საქმე დაყოვნებას არ ითმენდა, დაზემოთ აღნიშნულ ჯარის კაცებს მოუმატა მეორე გუნდის ჯარის კაცი გიგლა ბაიბუროვი და უფროსათ დაუნიშნა უნტერ-ოფიცერი გიორგი შათირიშვილი, და დაავალა ბოროტგამზრახველთა დაპატიმრება. დავალება პირნათლათ იქნა შესრულებული და ოთხი უცნობი ბოროტგამზრახველი დაპატიმრებულ იქმნენ, მეხუთე კი მიიმალა და მისი დაპატიმრება ვერ მოხერხდა. ბოროტგამზრახველები, როგორც თვით მათ ჩვენებიდან სჩანს, აღმოჩდნენ: გრიგოლ სარვაიანცი, სარქის ოსკანოვი, დიმიტრი ჭუმბურიძე და პეტრე პუხლიაკოვი. ულრმეს მადლობას ვუცხადებ უნტერ-ოფიცერ გიორგი შათირიშვილს და ჯარის კაცებს ალექსანდრე გზირიშვილს, ივანე საგიაშვილს, სანდალა საბაშვილს და აგრეთვე გიგლა ბაიბუროვს მათი სინიდისიერათ და პირნათლათ თავის მოვალეობის აღსრულებისათვის.

საქართველოსათვის ფრიად საჭირონი არიან ასეთი თავდადებული და თავის მოვალეობის პირნათლათ და შეუბღალველათ აღმასრულებელნი ამ განწირულ ჟამს, იმ დროს, როდესაც ჩვენ მეგობარი ნაკლებათ გვყავს და მტერი ბევრი. სასიამოვნოა, რომ ქართველ ჯარისკაცში კიდევ დარჩენილა საუკუნოებით გამოჭედილი და გაკაჟებული პატიოსნება, მამაცობა და ვაჟკაცობა, მოვალეობის პირნათლად აღსრულება და სამშობლოს საკეთილდღეოთ პირადის ინტერესების ზვარაკათ მიტანა მის საკურთხეველზედ. ულრმეს მადლობას უცხადებ აღნიშნულ ჯარისკაცებს, რათა მათ შეუგინებლად, უმწიკვლოთ და წმინდათ შეინახეს ქართველი ჯარისკაცის სახელი.

20 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 118

**დაარსებულ იქმნას**: ქალაქ ახალციხეში სასურსათო მაღაზია, სახარჯო სასურსათო მაღაზიის შტატებით.

17 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი

№ 119.

ამასთანავე ვაცხადებ ჩემგან დამტკიცებულ საველე შტაბის დროებით შტატებს.

სამხედრო მინისტრი გ. გ ი ო რ გ ა ძ ე

**დამატება ბრძანებისა რესპ. ჯარების მიმართ № 119.**

17 დეკემბ.

## დროებითი შტატი

საქართველოს რესპუბლიკის ჯარის საველე შტაბისა.

| ხარისხოსანთა სახელწოდება. | რიცხვი ხარისხ. | რიცხვი ცხენებისა | შენიშვნა: |
| --- | --- | --- | --- |
| ჯარის სარდალი, ღენერალი (შეიძლება იქნეს ღენ.-მ. ან ღენერ.-ლ.) | 1 | 2 | |
| მასთან ადიუტანტი, ობერ-ოფიცერი | 1 | 1 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| **საველე შტაბი.** | | |
| შტაბის უფროსი ღენერალ-მ. გენერალურ შტაბისა . . . . . . . . . . | 1 | 2 |
| **ოპერატიული განყოფილ.** | | |
| განყოფილების უფროსი, შტაბ-ოფიცერი გენერალურ შტაბისა . . . . . | 1 | 1 |
| თანაშემწე, ობერ-ოფიცერი . . . . . . . . . . | 2 | 2 |
| მწერალი . . . . . . . . . . | 2 | — |
| **სამზვერავთ განყოფილება.** | | |
| განყოფილების უფროსი, შტაბ-ოფიცერი . . . . . | 1 | 1 |
| თანაშემწე, ობერ-ოფიცერი . . . . . . . . . . | 1 | 1 |
| მწერალი . . . . . . . . . | 1 | — |
| თარჯიმანი . . . . . . . . | 1 | — |
| **კავშირის განყოფილება** | | |
| განყოფილების უფროსი, შტაბ-ოფიცერი . . . . . | 1 | 1 |
| თანაშემწე, ობერ-ოფიცერი . . . . . . . . . . | 1 | 1 |
| მწერალი . , . . . . . . | 1 | |
| **მინდობილობისა** | | |
| ობერ-ოფიცერი . . . . , . | 2 | 2. |
| **საკომენდანტო ნაწილი** | | |
| კომენდანტი, შტაბ-ოფიცერი . . . . . . . . . | 1 | 1 |
| მწერალი . . . . . . . . | 1 | — |
| **საველე შტაბთან იმყოფებიან** | | |
| მორბედი ოფიცერთა და მათ ცხენებისათვის . . . | 15 | — |
| მხარშეელი . . . . . . | 2 | |
| მესაწიკავე . . . . . . . | 4 | |
| **საზიდლები და მათ ცხენები** | | |
| ორთვალები . , . . . . | 2 | |
| სალაშქრო სამზარეულო . | 1 | |
| ცხენი . . . . . . . . . . | 4 | |
| **ს უ ლ** | | |
| ღენერალი . . . . . . . | 2 | |
| შტაბ-ოფიცერი . , . . . | 4 | |
| ობერ-ოფიცერი . . . . | 7 | |
| მწერალი . . . . . . . . | 5 | |
| ჯარის კაცი . . . . . . . | 21 | |
| **ცხენები** | | |
| საჯდომი . . . . . . . . . | 15 | |
| სასაწიკავო . . . . . . . . | 4 | |
| **საზიდლები** | | |
| ორთვალა . . , . . . . . | 2 | |
| სალაშქრო სამზარეულო . | 1 | |

21 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

**№ 120**

ვაცხადებ საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო უწყების ყველა ჯარისკაცთა და ოფიცერთა საგულისხმოთ, რომ ფრონტიდგან ან საზოგადოდ ჯარის ნაწილითგან გაქცეულნი, თავის უფროსის საბრძოლო ბრძანების არ შემსრულებელნი და ყველა ისინი, ვინც ჯაშუშობას და სახელმწიფოს საწინააღმდეგო აგიტაციას გასწევს სიკვდილით დაისჯებიან.

სამხედრო მინისტრი გ ი ო რ გ ა ძ ე.

23 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

**№ 121.**

ვუბრძანებ სამხედრო სამინისტროს სასანიტარო განყოფილების უფროსს დაუყონებლად შედგენილ ჰყოს ახალციხის ადგილობრივი საავათმყოფო 50 ლოგინით, თანახმად არსებული შტატებისა (შტატების კრებული, წიგნი 4, გამოცემა 1914 წ.)

23 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

**№ 122.**

ახალციხის და ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორი გენერალი მაყაშვილი განთავისუფლებულ იქნას აღნიშნული თანამდებობიდან და ევალებოდეს მას მხოლოდ სამხედრო მოქმედების ხელმძღვანელობა აღნიშნულ მაზრებში.

**ცნობა:** ბრძანება რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა № 62.

23 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი

**№ 123.**

ბორჩალოს მაზრის გენერალ-გუბერნატორი გენერალი წულუკიძე განთავისუფლებულ იქნას აღნიშნული თანამდებობიდან და ევალებოდეს მას მხოლოთ სამხედრო მოქმედების ხელმძღვანელობა ხსენებულ მაზრაში.

**ცნობა:** ბრძანება რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა № 60.

20 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისში

**№ 124**

§.

ხელახლად ვადასტურებთ რომ ყველა მოთხოვნილებები შესახებ საავტომობილო სხვა და სხვა ქონებისა, ავტომობილის ნავთეულობათა და ზეთეულობათა, მასალისა, ყველა ჯარის საავტომობილო ქონებისა, სათადარიგო ნაწილები, კამერები, სახურავები და სხვ. და სხვ. მანქანების სამუშაოთ დანიშვნისა, საჯარო სამმართველოებებმა, შტაბებმა, ჯარის ნაწილებმა და უფროსმა პირებმა უნდა მიმართონ საინჟენერო სატეხნიკო სექციას და არა საავტომობილო გუნდის უფროსს.

24 დეკემბერი 1918 წ.

**№ 125**

თოფ-ტყვიის-მფრქვეველთა ცალკე რაზმი დაშლილ-არს ა/წ. ნოემბრის 15-დან.

ცნობა: გენერალურ შტაბის განყოფილების საარტილერიო სექციის უფროსი პატაკი.

სამხედრო მინისტრის მაგიერი
გენერალ-მაიორი მ დ ი ვ ა ნ ი.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## რესპუბლიკის ჯარების მიმართ

28 ნოემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 185.

**დათხოვნილნი არიან ქვეითა ჯარის სათადარიგოდ: ოზურგეთის მაზრაში:** ყოფილის ბათუმის მსროლელი პოლკის შტაბს-კაპიტანი ღლონტი; ყოფილის მე-8 კავკასიის მსროლელი პოლკის შტაბს-კაპიტანი მამალაძე; ყოფილის მე-2 ქართული მსროლელი პოლკის პორუჩიკი ურუშაძე სამსონი; ყოფილის ქართული სანაპირო შავი ზღვის ბატალიონის პორუჩიკები: ჯაბუა და თავაძე; ყოფილის პირველ ქართულ მსროლელი პოლკის პოდპორუჩიკები: შალიკაშვილი ლეონიდი და ჯიბლაძე გერმანე; ყოფილის მე-2 ქართული მსროლელი პოლკის პოდპორუჩიკი გოგიბერიძე; ყოფილი მე-4 ქართული მსროლელი პოლკის პრაპორშჩიკები: მარელაძე ალექსანდრე, დოლიძე დიმიტრი, სტეპანია ალექსანდრე, ინწკირველი ისააკი, ნინიძე, მენაბდე ვლადიმირი, ერქომაიშვილი ალექსანდრე, ლუჯიშვილი საბა, მუჯირი მიხეილი; ყოფილის მე-97 ქვეითა სათადარიგო პოლკის პრაპორშჩიკი ლომინაშვილი მელიტონი; ყოფილის მე-2 ქართული მსროლელი პოლკის პრაპორშჩიკები: ფირცხელაიშვილი კოსტანტინე, მახარაძე ილარიონი, გობრონიძე დიომიდი, დობორჯგინიძე ანდრია, სვანიძე კირილე; ყოფილის მე-10 ქართული მსროლელი პოლკის პრაპორშჩიკები: დოლიძე გიორგი; ბილიხოძე; ყოფილის მე-11 ქართული მსროლელი პოლკის პრაპორშჩიკი ჯაყელი; ყოფილის ქართული სათადარიგო ბატალიონის პრაპორშჩიკი კვინიტაძე ილარიონი; ყოფილის ბათუმის ქართული მსროლელი პოლკის პრაპორშჩიკი ცინცაძე ნიკოლოზი; ყოფილის მე-5 ქართული მსროლელი პოლკის პრაპორშჩიკი ჩხაიძე არისტრატი; ყოფილის ქართული სათადარიგო პოლკის პრაპორშჩიკი ჩხაიძე; ყოფილის მე-9 ქართული მსროლელი პოლკის პრაპორშჩიკი მახარაძე ივანე; ყოფილის მე-12 ქართული მსროლელ პოლკის პრაპორშჩიკი ჯიბუტი სერგია; ყოფილის 1-ლ ქართული მსროლელი პოლკის პრაპორშჩიკი ქადეიშვილი ალექსანდრე; ყოფილის ქართული ოფიცერთა რაზმის პრაპორშჩიკი შავიშვილი გიორგი; ყოფილის 1-ლ ქართული სათადარიგო პოლკის პოდპორუჩიკი მითაიშვილი ლადიმერი; ყოფილის მე-8 კავკასიის სამხედრო-გზების რაზმის პოდპორუჩიკი ძიძიგური; ყოფილის მე-2 ქართული მსროლელი პოლკის პოდპორუჩიკი ქეიშვილი დავითი.

29 ნოემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი

№ 186.

**დათხოვნილია** სამსახურითგან, თანახმად თვისი სურვილისა, გენერალურ შტაბის განყოფილების ჯარის შევსების ნაწილის უფროსის თანაშემწე პოდპოლკოვნიკი გრუზინსკი.

30 ნოემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი

№ 187

**მიივლინება დროებით:** სოხუმის ოლქის სამმართველოს ყოფილი თავჯდომარე კოლეჟსკი სოვეტნიკი დავიდოვიჩი ივანე რესპუბლიკის ჯარის სამხედრო სახამართლოში სამხედრო მოსამართლის თანამდებობის აღმასრულებლად, მისი თანამდებობის ჯამაგირით.

**მიივლინება:** მე-5 ქვეითა პოლკის პოდპორუჩიკი ქარცივაძე ხამხედრო ხამინისტროსთან, საკომენდანტო სექციაში.

არმიის საარტილერიო ბრიგადაში შტაბს-კაპიტანი ყორავოვიჩი.

30 ნოემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი,

№ 188

**აყვანილია** კაპიტნის ხარისხზე, ქვეითა ჯარში, თათრებთან ბრძოლაში 1-ლ აპრილს 1918 წ. მოკლული ყოფილის პირველი ქართული მსროლელი პოლკის შტაბს-კაპიტანი შავგულიძე სიმონი.

30 ნოემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 189

**ინიშნებიან:** სამხედრო სამინისტროს სასანიტარო განყოფილების უფროსი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი მგელაძე მე-2 ქვეითა დივიზიის სასანიტარო ექიმად.

სამხედრო სამინისტროს სასანიტარო განყოფილების უფროსის თანაშემწე სტატსკი სოვეტნიკი ალექსი მესხიშვილი იმავე განყოფილების უფროსად.

მე-2 ქვეითა დივიზიის სასანიტარო ექიმი-სტატსკი სოვეტნიკი ახვლედიანი სამხედრო სამინისტროს სასანიტარო განყოფილების უფროსის თანაშემწედ.

სამხედრო მინისტრის თანაშემწე
გენერალ მაიორი მდივანი

28 ნოემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 190

ჯილდოვდებიან წმინდა გიორგის ჯვრებით ამ წლის 12 ივლისის ხრამის ხიდთან და ბათუმის დაცვის დროს მომხდარ მტერთან ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის.

| №№ | ნაწილი | წოდებულობა | №№ ჯვრებისა | სახელი და გვარი |
|---|---|---|---|---|
| | წმ. გიორგის ჯვრებით მე-2 ხარისხ.: | | | |
| 1 | მე-2 საარტილერიო ბრიგადის 1-ლ ბატარ. | უმცროსი ფეიერვერკერი | 80250 | იოსელიანი ნიკოლოზ |
| | წმ. გიორგის ჯვრებით მე-4 ხარისხ.: | | | |
| 2 | „ | ბომბანდირი | 264872 | აგლაძე დავითი |
| 3 | „ | კონონირი | 264863 | მაღრაძე კონსტანტინე |
| 4 | „ | ,, | 264861 | ელიავა ზურაბი |
| 5 | ,, | ,, | 264882 | ამირაჯიბი დიმიტრი |
| 6 | ,, | ,, | 264892 | მახარაძე შალვა |
| 7 | ,, | ,, | 264881 | ერისთავი შალვა |
| | წმ. გიორგის მენდლებით მე-4 ხარისხ.: | | | |
| 8 | ,, | ბომბანდირი | | გოცირიძე პლატონი |
| 9 | ,, | ,, | | ჯანიკაშვილი ალექსანდრე |
| 10 | ,, | კონონირი | | მამულაიშვილი ივანე |
| | წმ. გიორგის ჯვრებით მე-4 ხარისხ.: | | | |
| 11 | მე-3 ცხენოსან პოლკისა | მოხალისე | 264871 | ჟღენტი გრიგოლი |

1 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 191

**აყვანილია** ნამსახურობისათვის შტაბსკაპიტანის ხარისხზე, ქვეითა ჯარში, მე-2 ქვეითა პოლკის პორუჩიკი ივკოვი ნიკოლოზი, უფროსობით 10 აგვისტოდგან 1912 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი

№ 192

ჯილდოვდებიან წმიდა გიორგის ჯვრებით ამ წლის 1-ლ ნოემბერში მომხდარ მტერთან ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის.

| №№ | ნაწილი | წოდებულობა | № ჯვრებისა | გვარი და სახელი |
|---|---|---|---|---|
| | | **წმ. გიორგის ჯვრ. მე-4 ხარისხ.** | | |
| 1 | ჯავშნოსან მატარებლ. № 4. | მემანქანე | 265062 | გოგავა ალექსანდრე |
| 2 | ,, | მის თანაშემწე | 265067 | გოგავა გიორგი |

2 ნოემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი

№ 193

**აყვანილია პოლკოვნიკის ხარისხზე:** სამსახურში თავის გამოჩენისათვის ქვეითა ჯარში, ქუთაისის მაზრის სამხედრო უფროსი, პოდპოლკოვნიკი ანჯაფარიძე.

სამხედრო მინისტრი **გიორგაძე.**

## ბრძანებები

### რესპუბლიკის მთავრობისა

**სამხედრო ხარისხოსანთ შესახებ**

27 ნოემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

**№ 181**

**ინიშნება:** ტფილისის სადარაჯო რაზმის, უფროსად პოდპოლკოვნიკი ცალკე ტფილისის მსროლელი ბატალიონისა, ფურცელაძე.

**დატოვებულია:** შტატის გარეშე მივლენილი ყოფილ ქართული უნტერ-ოფიცრის სკოლასთან კაპიტანი ზელენცოვი

28 ნოემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი

**№ 182**

**ინიშნებიან:** პორუჩიკი ყურული გორის მაზრის სამხედრო უფროსის თანაშემწედ.

საქმის მწარმოებლად გორის მაზრის სამხედრო უფროსის სამმართველოში მე-6 ქვეითა პოლკის შტაბს-კაპიტინი ჩიკოიძე და გუბერნსკი სეკრეტარი კურიკოვი.

28 ნოემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი:

№ 183

**დათხოვნილია სამსახურიდან:** სასაპიორო ბატალიონის პრაპორშჩიკი ბეკლემიშევი ამ წლის 20 ნოემბრიდგან.

სათადარიგოდ, ტფილისის მაზრაში, საინჟენერო ჯარში: საავტომობილო გუნდის შტაბს-კაპიტანი ოქროპირიძე ამა წლის 20 ნოემბრიდგან.

**დამატებათ** ბრძანებისა ამა 16 ნოემბრიდგან № 165 სამხედრო ხარისხოსანთ შესახებ, საადმინისტრაციო განყოფილების მოხელეების ახრახაძის და მაჭავარიანის შესახებ, პირველი ითვლებოდეს სამსახურიდგან დათხოვნილად და მეორე მინდობილობათათვის მოხელედ დანიშნულად ამა წლის პირველ ნოემბრიდგან.

**გარიცხულია:** საინტენდანტოს მიმღებ კომისიიდგან ჯარის წარმომადგენელი პოდპოლკოვნიკი სვანაძე.

28 ნოემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 184.

**დათხოვნილი არიან ქვეითა ჯარის სათადარიგოდ:**

**ტფილისის მაზრაში:** ყოფილი რუს-გერმანული მსროლელი პოლკის, პორუჩიკი რეიზე; ყოფილის მე-4 ქართულის მსროლელი პოლკის პოდპორუჩიკი თუხარელი: მივლენილი სამხედრო სამინისტროს პიროვნულ შემადგენლობის განყოფილებასთან პოდპორუჩიკი ვაჩნაძე; ყოფილის მე-12 ქართული მსროლელი პოლკის პოდპორუჩიკი მაისურაძე; ყოფილის მე-10 ქართული მსროლელი პოლკის პოდპორუჩიკი კუკულია; სანაპირო ჯარების პოდპორუჩიკი გრიქუროვი; ყოფილის რუს-გერმანული პოლკის პოდპორუჩიკი ვოლკერი: ყოფილის მე-6 ქართული მსროლელი პოლკის პოდპორუჩიკი მიქელაძე; ყოფილის მე-6 ქართული მსროლელი პოლკის პრაპორშჩიკები: ბარნაბიშვილი და ბარათაშვილი; ყოფილი მე-9 ქართული მსროლელი პოლკის პრაპორშჩიკი გედენიძე; ბათუმის პარტიზანულ რაზმის პრაპორშჩიკი ჩამაკაძე; ყოფილის მე-5 ქართული მსროლელი პოლკის პრაპორშჩიკი რეხვიაშვილი, ყოფილის მე-10 ქართული მსროლელი პოლკისა პრაპორშჩიკები ხუბუა და ცქიტიშვილი,

**თელავის მაზრაში:** ყოფილის მე-2 ქართული მსროლელი პოლკის პრაპორშჩიკი კიკნაძე; ყოფილის მე-4 ქართული მსროლელი პოლკის პრაპორშჩიკი ნარეკლიშვილი.

**დუშეთის მაზრაში:** ყოფილის მე-9 ქართული მსროლელი პოლკის პრაპორშჩიკი ფარესაშვილი; სანაპირო ჯარების პრაპორშჩიკი როინიშვილი.

**გორის მაზრაში:** ყოფილის მე-4 ქართული მსროლელი პოლკის პორუჩიკი შატბეროვი; ყოფილის მე-110 სათადარიგო პოლკის პრაპორშჩიკი ჩადუნელი.

**შორაპნის მაზრაში:** ყოფილის მე-5 ქართული მსროლელი პოლკის პოდპორუჩიკი ჩანკოტაძე; ყოფილის სამხედრო სექციის ჯარის მომარაგების განყოფილების პოდპორუჩიკი ანთაძე.

**სენაკის მაზრაში:** ყოფილის 1-ლ ქართული მსროლელი პოლკის პრაპორშჩიკი დისოჯუა: მანგლისის სანაპირო რაზმის პრაპორშჩიკი ქაჯუჩაია.

**სიღნაღის მაზრაში:** ყოფილის მე-6 ქართული მსროლელი პოლკის პორუჩიკი ოქროპირიძე.

**ქუთაისის მაზრაში:** ყოფილის მე-2 ქართული მსროლელი პოლკის პოდპოუუჩიკი კვანტალიანი.

საყხედრო მინისტრის მაგიერ

გენერალ-მაიორი **მდივანი.**

## არა ოფიციალური განყოფილება

**საქართველოს გზა.**

საერთაშორისო ქარტეხილის დროს, იმ დროს, როდესაც დიდი რუსეთი სავსებით დანგრეული იყო; იმ დროს, როდესაც პირდარჩენილი სისხლიანი ოსმალეთი ჯარს ჯარზე აგზავნიდა და პატარა საქართველოს ცეცხლითა და მახვილით უპირებდა განადგურებას, — როდესაც ბრძოლის ველზე მარტოდ მარტო, დამხმარე ხელს მოკლებული იდგა საბრძოლველათ გამოსულ ქართველი დემოკრატია, რომელიც თავის სამხედრო ძალით მაშინ მეტათ სუსტი იყო, იმ დროს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და საფუძველი ჩაეყარა დემოკრატიულ რესპუბლიკას. საერთაშორისო ქარტეხილის დროს, როდესაც ნგრევა-რღვევის პროცესი ელვისებური სისწრაფით სწარმოებდა — იშვა ხალხის ნებით საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რეს-

პუბლიკა და პირველი მისი ხმა უბედურება-ცეცხლ-სისხლის ღვრის ბატონობის დროს იყო მშვიდობიანობისა და კეთილ მეზობლობისადმი მოწოდების ხმა. 26 მაისის აქტში გამოიხატა საქართველოს მთლიანი მისწრაფება და სულისკვეთა. აქ გაისკვნა დემოკრატიის ნება და ყველას მიდრეკილება.

26 მაისის პირველი მუხლი ამბობს: ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. 2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა-დემოკრატიული რესპუბლიკაა. ამგვარათ: საქართველო უნდ იქნეს დამოუკიდებელი. ამას უნდა სცნობდეს ყველა და მასთან ყველას საქმე უნდა ქონდეს, როგორც სრულუფლებოვანება და დამოუკიდებლობა მტკიცეთ მოითხოვს, რომ მის საქმეებში არავინ ჩაერიოს და დაუკითხავათ ხელის ფათური არ დაიწყოს. ამ მხრივ დამოუკიდებლობის განმტკიცება დაცვა უპირველესი საქმეა. ყველა გულწრფელი მოქალაქე, ნამდვილი დემოკრატი უნდა სცდილობდეს და თავის ენერგიას ამ დაცვაზე უნდა ხარჯავდეს, რადგან დამოუკიდებლობის დაცვა ეს ქვეყნის დაცვაა, დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცება-შენარჩუნებაა. დამოუკიდებლობა და დემოკრატიზმი ერთმანეთთან მჭიდროთ არის დაკავშირებული და ვინც მოისურვებს ერთ მათგანს ლახვარი ჩასცეს, ამით იგი ძირსა სცემს და ხრამში სჩეხს საქართველოს დამოუკიდებლობასა და მის დემოკრატიულ რესპუბლიკას. დამოუკიდებლობის მტერი დემოკრატიზმის მტერია. დემოკრატიზმისა და რესპუბლიკის მტერი დამოუკილებლობის მტერია. ამიტომაც საქართველოს პოლიტიკა იქით არის მიმართული, რომ ამგვარ მტერთ შესაფერი პასუხი გასცეს და ეს შესაფერი პასუხი კი იმაში გამოიხატება, რომ იგი ძლიერათ იცავს, როგორც თავის დამოუკიდებლობას, ისე დემოკრატიულ წესწყობილებას.

საქართველოს არ შეუძლია ისეთი პოლიტიკა აწარმოოს, რომელის ნაყოფიც იქნება სხვისი დაჩაგვრა ან სხვასთან გამანადგურებელ და დამღუპველ პოლიტიკის წარმოება. დემოკრატიზმი აუცილებლათ მოითხოვს ერთობასა და კეთილგანწყობილებას. ამიტომაც ზემოხსენებულ აქტის ორ პირველ მუხლს თანახლავს: 3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა. 4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს სა რთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან. ასეთი არის საქართველოს უდრეკი სურვილი. იგი მზათაა და სცდილობს ყველასთან მეგობრული და მეზობლური განწყობილება დაიჭიროს. როცა შემთხვევა იყო კონფლიქტისა, მაშინ მთელი ენერგია იხმარა საქართველოს მთავრობამ რომ საქმე მშვიდობიანი გზით დასრულებულიყო და სისხლის ღვრა აეცილებია. ამას მან მიაღწია და მომავალშიც ამ გზაზე მტკიცეთ წავა. ვინც

# საუბარი ჯარის-კაცთან.

## III.

აი ამ წამს, ჯარისკაცო, მედა შენ რომ ვსაუბრობთ, მთელს საქართველოში შენ ყველაზედ ბედნიერი ადამიანი ხარ. შენ გაოცებული მიყურებ, გიკვირს, არა? დიახ, მე კიდევ გაგიმეორებ, ათასჯერ გაგიმეორებ, რომ შენ დღეს უბედნიერესი ადამიანი ხარ საქართველოში.

რატომ?

პირველი იმიტომ, რომ შენი დიდების დღე დადგა: მუხანათი მტერი უკანიდან მოგეპარა, რადგანაც პირდაპირ, რაინდულათ მოსვლა მან ვერ გაბედა.

შენკი უნდა დაუმტკიცო მტერსაც და მოყვარესაც რომ ქართველი ჯარისკაცი კლდე და ფოლადია მაშინ, როდესაც ის იცავს თავის სამშობლოს და თავისუფლებას.

რესპუბლიკის იმედო, სამშობლოსა და თავისუფლების საყვარელო დარაჯო! თუ აქამდინ ეჭვი ჰქონდათ, დაე, დღეიდან გაიგონ შენი თავისუფლების, შენი მიწაწყლის, შენი გაადამიანების მტერმა და დუშმანმა, რომ შენს გულში ძლიერ სიყვარულთან ერთათ ძლიერი სიძულვილიც არის და ვაი მისი ბრალი, ვინც შენს სიძულვილს დაიმსახურებს.

მეორე — იმიტომა ხარ ბედნიერი, რომ მთელი საქართველო, და რის საქართველო – მთელი ქვეყანა დღეს შენ შემოგჩერებია.

დღეს უნდა დაამტკიცო შენ, ხარ თუ არა ღირსი ატარო სახელი რესპუბლიკის მოქალაქისა.

რესპუბლიკის მოქალაქე, ჩემო კარგო, იცოდე დიდი საპატიო სახელია.

და ამ სახელის ღირსი კი, გახსოვდეს, მხოლოდ ის არის, ვინც თავისი მკერდით, თავისი მკლავით იცავს ამ რესპუბლიკას ყოველგვარი მტრისაგან.

რესპუბლიკა შენ გენდო და შენ უკვე დაამტკიცე, რომ ღირსი ხარ ამ ნდობისა.

ქართველი ერი დღეს შენ შემოგყურებს განსაკუთრებულის სიყვარულით. ჩვენი ჯარის ხსენებაზედ მთელი ჩვენი პარლამენტი ისე გრიალებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა მოვიდეს საქართველოსთან, ვისთანაც საქმე უნდა დაიჭიროს მან,—პოლიტიკა მხოლოთ ერთია და ეს ერთად ერთი გზაა: 4. სწორ უფლებიანობის ნიადაგზე მეგობრული დამოკიდებულობის განმტკიცება ყველასთან, რომ ამით საქართველოს საშვალება მიეცეს თავისი უნარი და ძალა თავის ხალხის, ქართველი ხალხის საკეთილდღეოთ და განვითარებისათვის აამუშაოს. მაგრამ საქართველოს პოლიტიკა მარტო თავის ხალხზე, ქართველებზე არ ზრუნავს, მისი მუშაობა მარტო ქართველობით არ განიფარგლება, ის ვიწრო არ არის. საქართველოს პოლიტიკაა ყველას თანასწორობა და უფლებიანობა. ჩაგვრა და დევნა მისი საქმე არ არის. პირიქით, აქტის მიხედვით: 5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორათ უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლათ ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა. 6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს. ასეთი არის მისი დემოკრატიული ისტორიული განცხადება. მაგრამ ეს ცარიელი დაპირება არ არის, ესაა საქმე, რომელსაც აკეთებს საქართველოს მთავრობა, ესაა დემოკრატიული პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებს იგი ცხოვრებაში. თავისუფლების, დემოკრატიზმის განამდვილება ყველას თანასწორ უფლებიანობის დაცვა – თავი საქმეა.

ექვს თვეზე მეტია, რაც არსებობს საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა და არ ყოფილა არც ერთი უბრალო მცირე შემთხვევაც კი, რომ საქართველოს პოლიტიკა თავის დემოკრატიულ გზიდან გადახრილიყოს. საქართველოს მთელი ენერგია სწორეთ იმაზე იხარჯება, რომ ეს პოლიტიკა სავსებით განხორციელდეს და განმტკიცდეს და ყველას მოვალეობაა, წმინდა ვალდებულებაა ამ დემოკრატიულ გზაზე მსვლელობაში საქართველოს მთავრობას მხარში უდგეს და მასთან ერთად ისწრაფოდეს ამგვარათ საქართველოს ხალხს კეთილდღეობა მიანიჭოს. საქართველოს პოლიტიკის გზა ერთად ერთი სწორი და მისაღები გზაა და მხოლოთ ამ გზით გამოიჭედება ქართველი ხალხის და მასთან თანამცხოვრებ ყველა ერის ბედნიერება.

და თუ ვინმემ არ მოისურვა ჩვენი ცნობა; თუ ვინმე წინ გადაგვეღობა და ჩვენი დაღუპვა მოისურვა,—მთელი საქართველო, როგორც ერთი კაცი, ფეხზე უნდა აღსდგეს თავის დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის დასაცავათ.

საქართველოს ხალხს სხვისი არაფერი უნდა, მაგრამ მას უფლება აქვს თავისი დაიცვას და მის დაცვას თავიც შესწიროს.

ვ. ნოზაძე.

---

როგორც ერთი კაცი. ისმის ყველა სკამებზე დაუსრულებელი მქუხარე ტაში.

და ეს აღტაცება, ეს სიყვარული არის ნამდვილი ხალხური სიყვარული ხალხური აღტაცება.

ჩვენი პარლამენტი გამოჰხატავს მთელი ქართველი ხალხის გრძნობასა და სურვილებს და ქართველი ხალხის სული და გული შენ დაგტრიალებს გარშემო, შენთან არის დღეს განუყრელათ.

ვაშა, ჩვენო რაინდო, ღირსეულო დარაჯო სამშობლოსი და თავისუფლებისა!

მტერი ჯერ კიდევ არ დამარცხებულა. ის ვერაგია, გაუტანელი. იგი ისე უნდა დაამარცხო, რომ სამუდამოთ მოისვენო და მუდამ იმის მოლოდინში აღარ იყო, აი აგერ დამეცემა თავს, აი აგერო. შენ იცი, ვინ ხელმძღვანელობს ამ მტერს.

სომხებმა თვისი ბედი ისეთ ადამიანებს ჩააბარეს, რომლების ხელობა მუხანათობაა, ღალატი, ძარბევა, აწიოკება და ხოცვა ჟლეტაა.

მეგობრულათ, მეზობლურათ ცხოვრება მათ ვერსად და ვერავისთან ვერ მოახერხეს.

სადაც კი შედგეს ფეხი, ყველა გადიმტერეს. ყველგან სისხლის ღვრა და ხოცვა-ჟლეტა დაატრიალეს.

ქართველმა ხალხმა კი თავისი ბედი ისეთ მთავრობას ჩააბარა, რომელიც მშვიდობიანობას, ძმობასა და ერთობას იცავს, მეზობლობას და მეგობრობას.

სომხების მთავრობამ რა მისცა სომხის ხალხს?

სრულებით არაფერი.

სომხის გლეხკაცობას, მშრომელ ხალხს მან არც მიწა მისცა, არც თანასწორობა, სამაგიეროთ მტრები გაუმრავლა და მოყვარეც კი მტრათ გადაჰკიდა.

ჩვენმა მთავრობამ კი წოდებები გააუქმა და ყველა გაათანასწორა: ჩვენს რესპუბლიკაში დღეს ყველა თანასწორი მოქალაქეა,—ძველი თავადიც, ძველი გლეხიც, ძველი ბატონიც, ძველი ყმაც.

ჩვენმა მთავრობამ უკვე დაასრულა მემამულეების მიწების ჩამორთმევა და დღეს თუ ხვალ კანონით დაუმტკიცებს სოფლის მუშა ხალხს ამ მიწებს.

აი ყოველივე ეს უნდა გაეკეთებია თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჯარში მეცადინეობის შესახებ

### 1 საკითხის სირთულე

ჯარში სწორედ და კარგად მეცადინეობის მოწყობის საკითხი მეტათ რთული და თან ძირითადი საკითხია. პირველი შეხედვით იტყვიან, რომ ეს არც ისე ძნელი საქმეა. მაგრამ სინამდვილეში კი ხშირათ მეტათ დიდ დაბრკოლებებს ხვდებით. ჯარის უმაღლესი ხელმძღვანელობა თავის ხელქვეითთ აძლევს ყოველგვარ საშვალებას იმისთვის რომ ჯარში მეცადინეობა მიზან შეწონილათ და შესაფერისათ მოეწყოს. იგი სცემს თანადროულ წესდებებს და ოფიციალ დადგენილებებს მაცადინეობის წასაყვანათ. იგი იმუშავებს მაცადინეობის წლიურ გეგმას, სხვა და სხვა პროგრამას და გგონიათ რჩება ხელქვეითთათვის მხოლოდ უბრალო მოსაზრება გაანაწილოს მეცადინეობა, რომ გაიაროს მთელი პროგრამა, რაცნათლად არის გამორკვეული და მოთხოვნილი ჯარის უმაღლეს ხელმძღვანელთა მიერ, მაგრამ არც ისე ადვილია ამის დაძლევა. პირველ ყოვლისა, რომ გაერკვიოთ სახელმძღვანელო ოფიციალურ მასალაში, საჭიროა იყოთ თეორიულად და პრაკტიკულათ სამხედრო საქმის მცოდნე. მეორე მხრივ, სამსახურის პირობები ისეთი შეუფერებელი ხდება ხოლმე რომ ხშირათ პასუხის მგებელი უფროსები გულზე ხელდაქდობულნი რჩებიან. მეტად ცუდ გავლენას ახდენს მაცადინეობაზე ყოველგვარი მორიგეობა, რომელსაც მოითხოვს შინაური და საგარნიზონო სამსახურის წესდება, და ყოველნაირი მივლენილობა, თუ არ იცით ან არ გსურთ უკანასკნელამდე შეამციროთ ჯარის-კაცების გაგზავნა, ხშირათ ხდება რომ რაზმი ან ესკადრონი მხოლოდ ქაღალდზე რჩება აღნიშნული და მაცადინეობა კი ვიღასთან შეიძლება?

ეს მიზეზებიც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, ტეხნიკა იმდენათ განვითარდა და სამხედრო საქმე მითი იმდენათ სარგებლობს, რომ ჯარისადმი მოთხოვნილება მეტათ გაიზარდა და გართულდა ეს იმ დროს, როდესაც ჯარში სამსახურის ვადა შემცირებულია. უნდა იყოთ მეტათ გამოცდილი და მცოდნე უფროსი, რომ მაცადინეობის წარმოების საქმე წაიყვანოთ, ისე, რომ თანამედროვე ომისათვის ჯარი მოამზადო.

### 2. მაცადინეობის წარმოების საკითხის გამორკვევა

ჯარში კარგი მეცადინეობის წარმოება შეუძლიათ მხოლოდ იმ პასუხისმგებელ უფროსებს, რომელთაც შეგნებული აქვთ საქმის არსებითი მხარე. ბრძოლის უნარიან ჯარის შესაქმნელათ პირველათ ყოვლისა საჭიროა შეიქმნას მაღალ ზნეობრივ თვისებების მებრძოლათ, რომელიც განსწავლული იქნება თავისი საქმით და მეორეთ, ამგვარათ ცალცალკე მომზადებულ მებრძოლთ შეაჩვიონ ერთად მოქმედება სხვა და სხვა რიგში და წესში. მაშასადამე, ზნეობრივ თვისებების გასავითარებლათ, ჩვენ უნდა აღვზარდოთ მხედარი და მის გასაწვრთნელათ კი უნდა გავანათლოთ იგი. ცხადია: ჯარის მომზადებაში

---

ხალხისთვის სომხის მთავრობას, თუ მართლა მას მშრომელი ხალხისათვის შესტკიოდა გული. ამის მაგიერათ მან წამოიყვანა ჯარი და ქურდულათ დაესხა თავს ჩვენს რესპუბლიკას, ჩვენს ჯარს.

და რომ მართლა გაგვწყრომოდა განგება და ასეთ მთავრობას გაემარჯვა, რა მოუვიდოდა ჩვენს ხალხს?

მიწასაც დაჰკარგავდა, თავისუფლებასაც, თანასწორობასაც და სომხის ჩარჩ-ვაჭრებისა და მღვდლების მონა გახდებოდა.

აბა შენ თვითონ ჩაფიქრდი, ჩემო ჯარის კაცო: სომხების მთავრობამ თავის ხალხს არ მისცა არც მიწა, არც თანასწორობა და თავისუფლება და ჩვენს ხალხს მისცემდა?

რა პასუხია!

და როდესაც შენ ებრძვი ასეთ მტერს, შენ მარტო რესპუბლიკას კი არ იცავ, შენ იცავ თავისუფლებას, შენ იცავ თანასწორობას, შენ იცავ საქართველოს მთელი მშრომელი ხალხის ბედიღბალს და მომავალს.

რას აკეთებდა ჩვენი მთავრობა ამ ექვსი თვის განმავლობაში, რაც საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკას წარმოადგენს?

ჰფიქრობდა ის სისხლის ღვრაზედ?

არა, ამას ვერავინ ვერ იტყვის.

ის ქმნიდა ახალ ცხოვრებას, ახალ წყობილებას ჩვენი მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ. და რადგანაც მან კარგათ იცოდა, რომ კეთილდღეობისათვის საჭიროა, აუცილებელია მეგობრობა და კეთილი განწყობილება მეზობლებთან, ის ცდილობდა, მეზობელ ერებთან ძმური, მეგობრული კავშირი შეეკრა.

რას აკეთებდა სომხეთის მთავრობა?

ჰქმნიდა ის ახალ ცხოვრებას სომხის მშრომელ ხალხის საკეთილდღეოთ?

მშრომელი ხალხი მას არ გახსენებია. მას იმდენათ უყვარს თავისი მშრომელი ხალხი, რომ ოსმალეთში მთელი სომხობა ოსმალებს გააწყვეტია!

ის ემზადებოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, რომ თავის მეზობელ ქართველებს, რომლებმაც ლტოლვილ სომხებს თავი შეაფარებიეს, რომელთა მთავრობამაც საქართველოს მთელი სომხობა დაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მუშაობის მიზანია ჯარის-კაცის (და ახალგაზდა ოფიცრების) აღზრდა და განვითარება.

მებრძოლის აღზრდის დროს ჩვენ მასაში უნდა განვავითაროთ შემდეგი ზნეობრივი თვისებანი: მორჩილების გრძნობა, ესე იგი ყველა კანონისა და უფროსთა ბრძანებების ასრულება; პატრიოტიზმის გრძნობა ანუ სიყვარული სამშობლოსადმი, რომლი-კეთილდღეობისათვის მან სიცოცხლეც უნდა გასწიაროს; სამსახურის მოვალეობის გრძნობა ანუ ყველვალდებულობის სინდისიერათ ასრულება. სინდისიერების ამგვარივე მოთხოვნილება აუცილებლათ უნდა წაუყენოთ უფროსებს და ხელქვეითებს, ყველა ამხანაგს და პასუხი უნდა მოეთხოვოს სასამართლოს ძალით ყოველგვარ ბოროტმოქმედებისათვის. ამხანაგობის გრძნობა ანუ ურთიერთისათვის თავის განწირვა, სამართლიანობის და კაცობრიობის გრძნობა. ყველაფერი ეს შეადგენს ვგრეთ წოდებულ სამხედრო დისციპლინას ანუ სამხედრო აღზრდას, რასაც ამტკიცებს შინაური, დისციპლინარული და საგარნიზონო სამსახურის წესდება. ამ წესდებათა მოთხოვნილება უნდა ივსებოდეს უფროსთა პირადი მაგალითით და ყოველ დღიური კულტურულ-განმანათლებელი მუშაობით.

განმანათლებელ მუშაობას ეკუთვნის ცალცალკე თვითეულ ჯარისკაც-მებრძოლის მომზადება და საერთოდ მთლიანი მოქმედების შესწავლა და შემდეგ შესწავლა მწკრივში წესდების პრაქტიკული ცნობისა.

თვითეულ მებრძოლის ცალ-ცალკე მომზადება გამოიხატება ყოველგვარ იარაღის ხმარების ცოდნაში ესე იგი მეომარმა უნდა იცოდეს დახელოვნებულათ სროლა, ხიშტის ან ხმალის კარგათ ხმარება და ცემა; ხელით სასროლ ასაფეთქებელ ყუმბარების მარჯვეთ ხმარება და სხვა. კარგათ უნდა არკვევდეს თვალით სივრცეს; შესაფერისათ უნდა თვალყურს ადევნებდეს ბრძოლის ველს და ყოველგვარი კავშირი უნდა ქონდეს მასთან; უნდა შეუფარდდეს ადგილს და მიიღოს ზომები გაზებით იერიშის, პროჟექტორებით, დამაბრმავებელ სხივებით განათების, ჯავშნოსანთა და „ტანკების“ გამოჩენის წინააღმდეგ, რომ ბრძოლაში დანაკლისი აიცილოს; უნდა შეეძლოს დაუღალავათ და განუწყვეტლათ იერიშის დროს 300 ნაბიჯის გადარბენა ბრძოლაში იმავე დანაკლისის თავიდან ასაშორებლათ; ყოველ შემთხვევაში უნდა იცავდეს და ინახავდეს გაფუჭება-დაკარგვისაგან იარაღს და სხვა.

რაც შეეხება მის გაწრთვნას ასეულში და სხვა ნაწილში, ამის შესახებ მოთხოვნილება აღნუსხულია წესდებებში და ოფიციალურ დარიგებებში და სხვა სპეციალურ სახელმძღვანელოებში, რომელთა შორის გამოჩენილი ადგილი უკავია გენერალ ლეშას წიგნაკს. მაგრამ განსაკუთრებით ძვირფასი ცნობების მიღება შეიძლება მეომარ ჯართა შტაბების მიერ გამოცემულ საიდუმლო დარიგებებში, რომელიც იცემოდა ამ ომის დროს და მისი გამოცდილების მიხედვით. ამავე გამოცემებით უნდა ისარ-

---

ფარა ოსმალთა მახვილით განადგურებისაგან, — აი ის ემზადებოდა, რომ ამ ქართველებისათვის ქურდულათ ზურგში ლახვარი ჩაესო, არც მეგობრობა, არც მეზობლობა, არც პურ-მარილი სომხების ვერაგ მთავრობას არა სწამს. მან ფეხქვეშ გასთელა, ტალახში ამოსვარა ყოველივე, რაც შეადგენს ღირსებას ყოველი ერისას.

და შენ გეკითხები ჩემო ჯარის კაცო, ასეთმა მთავრობამ რომ ჩვენზე გაიმარჯვოს, რა დღეს დაგვაყენებს?

ის აიკლებს, ააოხრებს ჩვენს სოფლებს, არ დაინდობს არც ბავშვებს, არც ქალებს, არც მოხუცებს. და ვინც ცოცხალი გადარჩება, ის უნდა გახდეს სომხის ჩარჩებისა და მღვდლების მონა მორჩილი. ვეფიცები, ჯარის კაცო, ამაზედ სამარცხვინო მონობა ჯერ არ ყოფილა დედამიწის ზურგზე. გწამდეს, ჩემო ძვირფასო, რომ ამაზედ საზიზღარი მტრობა ჯერ ჩვენთვის არავის უქნია.

მტერმა მახვილი ხელში აიღო რომ ბოროტება გაამეფოს ჩვენში.

შენ კი მახვილი აიღე ხელთ, რომ ბოროტებას სამუდამოთ გაუგმირო გული და სიმართლისა და ძმობა ერთობის ტახტი გაამაგრო. მერწმუნე, ამ ბრძოლაში მთელი ქართველი ერი შენთან იქნება.

მოგვთხოვე ყველაფერი, გაგვაღებიე ყოველგვარი მსხვერპლი სიმართლისა და საყვარელი სამშობლოს დასაცავათ.

შენ მტკიცეთ გასწი წინ და გაგვიყოლიე ყველა უკან. ვინც ლაჩარი, უგულო და ორპირი ნახო ჩვენში, ნუ დაინდობ. ყველა ვინც ასეთ ჟამს შენთან არ იქნება, მტერია სამშობლოსი, დამღუპველია მშრომელი ხალხისა.

დროშა სიმართლისა, დროშა თავისუფლებისა წინ მიგიძღვის, — იშიშვლე მახვილი შურის ძიებისა და შემუსრე ქვეყნისა და თავისუფლების მტერი.

ვაშა შენს ვაჟკაცობას, ჩვენო ჯარის კაცო! დიდება შენს გმირობას, რაინდობას და თავგანწირულ ბრძოლას.

ივ. გომართელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებლოთ მწკრივათ ნაწილების განსწავლის დროს. ამ მაცადინეობაში უნდა ისწრაფოდეთ ცალ-ცალკე განსწავლული მებრძოლნი შეაჩვიო ერთად თანხმურ მოქმედებას ყოველგვარ მდგომარეობის დროს ომში—ბრძოლის დროს, ლაშქრობის დროს, დასვენების და ჯარის დარაჯობის დაცვის დროს, კავშირის სამსახურის და მზვერავობის ასრულების დროს. ამ მაცადინეობის დროს ხელმძღვანელებმა ხელქვეითნი უნდა მიაჩვიონ თავის ნების მსწრაფლ და მიზანშეწონილ ასრულებას, და თვით უფროსები მთელი ნაწილების გამგებლობასა და ხელმძღვანელობას. მხედველობაში უნდა გვქონდეს აგრეთვე ის, რომ მთელი ნაწილების ერთად განსწავლას ჯარისათვის დისციპლინური მნიშვნელობა აქვს, რადგან ჯარში ამით ვითარდება უფროსის ნებისადმი ყურადღება, დამორჩილებისა და ასრულების გრძნობა.

ტაკტიკური მაცადინეობა, რომელიც ასრულოვნებს ხელმძღვანელთა შემადგენლობას, დაწყებული უნტერ-აფიცრიდან და გათავებული გენერალით, როცა ხდება ველზე, იგი ტაკტიკურ დამოკიდებულობაში უნდა ავითარებდეს უბრალო მებრძოლის გონებასაც, რათა მან ყოველ შექმნილ გარემოებაში შესძლოს თავის გამორკვევა და გაგება, ვითარება, გაკვეთილი და ყოველგვარი მოქმედება ყველა ჯარის კაცს უნდა განემარტოს და აეხსნას.

თუ ზემოთქმულს დავუმატებთ, რომ თვითეულ ცალკე ნაწილში უნდა ხდებოდეს სპეციალური მაცადინეობა: უნტერ-აფიცრებისა და ახალგაზრდა ჯარისკაცთა მასწავლებლებათ მოსამზადებლათ; მაცადინეობა მზვერავთა და საპიორთა ნაწილებში, რომელნიც უკანასკნელი ომის გამოცდილების მიხედვით უნდა შეიქმნას ქვეითი ჯარის პოლკებშიც, ისე როგორც ეს არის ცხენოსანთა პოლკებში ცხენოსან-საპიორების სახით; მაცადინეობა ტყვიის მფრქვეველთა ნაწილში სასანგრე განყოფილებით, და აგრეთვე უნდა მოეწყოს ტაკტიკური მეცადინეობა ოფიცრებისა და უნტერ-ოფიცრების ნაწილში,—ყველაფერი ეს გაგვირკვევს, თუ რაში მდგომარეობს ჯარში მეცადინეობის საქმე.

საჟურნალო წერილში ყველა იმას ვერ ჩამოვსთვლით, რაც აუცილებელია ჯარისათვის, ყველა სავალდებულო ცნობა მოყვანილია შესაფერ წესდებებში და დარიგებებში. ჩვენ მივუთითეთ მასზე არსებითად, რაც თვითეულს შესაძლებლობას მისცემს იცოდეს რამდენიმე სიტყვით, თუ რა საქმისაკენ მოუწოდებს მას მრავალი და დაწვრილებითი სახელმძღვანელო ცნობა და მოთხოვნილება ჯარის უმაღლეს გამგებლობისა.

ჯარში მეცადინეობის წარმოების დროს, თუ იცით, რისკენ უნდა ისწრაფოდეთ, ადვილი გახდება იმ დაბრკოლებათა გადალახვა, რომელიც მაცადინეობას აფერხებს.

ა. ბ.

## სამხედრო საქმე რომის რესპუბლიკაში.

რომში, ძველათ, თემი და ჯარი არ იყვნენ გაყოფილნი. თემის წევრი ამასთანავე ჯარის კაციც იყო, თავდაპირველათ ჯარის რაოდენობა 3 ათას კაცს უდრიდა. ეს იყო ქვეითი ჯარი. გარდა ამისა არსებობდა 3 ასი კაცისგან შემდგარი ცხენოსანი ჯარიც, ქვეითი ჯარი იყოფოდა ათასეულებათ ცხენოსანი კი ასეულებათ. ყოველ ათასეულს ასეული ახლდა. როგორც ათასეულებს, ისე ასეულებს საკუთარი უფროსები ახლდათ. პირველთ ეწოდებოდათ ათასეულთა ტრიბუნები, მეორეთ ასეულთა ტრიბუნები.

ჯარში ამ დროს მხოლოთ წარჩინებულნი (პატრიციები) შედიოდენ. სერგო ტულლიმ მოსპო ეს წოდებრიობა და მის მაგიერ ქონებაზე, უფრო სწორეთ უძრავ ქონებაზე დაამყარა სამხედრო სამსახური· ყოველი მამაკაცი, რომელსაც კი გააჩნდა მიწა ვალდებული შეიქმნა საჭირო დროს ჯარის კაცათ გამხდარიყო. წოდებრიობასთან ერთად სერგოს რეფორმებმა პირადი ბეგარის ხასიათიც ჩამოაშორეს სამხედრო სამსახურს.

რესპუბლიკის მცხოვრებნი ქონების მიხედვით 5 კატეგორიათ იქნენ დაყოფილნი. პირველ კატეგორიას ეკუთვნოდენ ისინი, ვისაც სრული ნორმა ჰქონდა სახნავი მიწისა, მეორეს—რომელთაც $^3/_4$ ჰქონდათ, მხოლოთ მესამეს, რომელთაც $^1/_2$ გააჩნდათ და ასე ამ გვარათ. სახელმწიფო ავალებდა პირველი კატეგორიის ანუ კლასის მოქალაქეთ, რომ ყოველ ოც-ოც კაცზე, რომელთაც დანარჩენი კლასების მოქალაქენი გამოიყვანდენ ბრძოლის ველზე, 80 კაცი გამოეყვანათ. ამ გვარათ სახელმწიფო კერძოთ კი არ მიმართავდა, ასე ვთქვათ ყოველ მოქალაქეს, არამედ სოციალურ ჯგუფებს ავალებდა ჯარისათვის საჭირო შემადგენლობის გამოყვანას. როგორც საზოგადოება იყო დაყოფილი კლასსებათ, ისე ჯარი, კლასსები იყოფოდენ ცენტურიებათ ანუ ასეულებათ. ცენტურია თავის მხრივ ორი ტიპის შემადგენლობის იყო. მის ერთ ჯგუფს, რომაელები „ჟიონერებს“ უწოდებდენ, მეორეს კი „სენიორებს“. პირველ ჯგუფს ეკუთვნოდენ გაწვეულნი, 17 დან 45 წლამდე, მეორეს კი—მოხუცნი, ჩვენებურათ რომ ვთქვათ, პირველი ჯგუფი წარმოადგენდა მოქმედ ჯარს და მეორენი კი სათადარიგო ჯარს. ყოველ კლასს, გარდა ამისა, მიწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილი ჰქონდა განსაკუთრებული რაზმები ხელოსნებისა და მუსიკოსებისა. ამ რაზმებში ჩვეულებრივ უსახლკარონი (მაშინდელი პროლეტარები) შედიოდენ.

ცხენოსანი ჯარის შესახებ სერგოს რეფორმებს არაფერი შეუქნია ახალი. მისი რაოდენობა ისეთივე დარჩა, როგორც იყო პირველი ტარკვინის დროს 11800 კაცი. მისი შედგენაც პირველი კლასის მოქალაქეთ ევალებოდათ. ფაქტიურათ, მაშასადამე, ჯარის უმრავლესობა პირველი კლასის მოქალაქეთაგან (ანუ შეძლებულთაგან) შესდგებოდა. მათ გამოჰყავდათ ბრძოლის ველზე 40 მოქმედი ასეული, 49 სათადარიგო და 48 ცხენოსანთა ასეული. ეს შეადგენს 98 ცენტურიას ასეულს, ანუ 9300 კაცს. დანარჩენ კლასებს გამოჰყავდათ: მეორეს - 10 მოქმედი, 10 სათადარიგო: მესამეს - 10 მოქმედი, 10 სათადარიგო; მეოთხეს—10 მოქმედი, 10 სათადარიგო და დაბოლოს, მეხუთეს 15 მოქმედი, 15 სათადარიგო ასეული. სულ 90 ასეული ანუ 9 ათასი კაცი. ამას რომ 4 ხელოსანთა და მუსიკოსთა ცენტურიებიც მიუმატოთ, რომელნიც, როგორც დავინახეთ პროლეტარებისაგან შესდგებოდენ, მაინც უმრავლესობა პირველ კლასს ანუ შეძლებულ მოქალაქეებს დარჩებათ.

ხარისხით, ვითარებითაც დიდათ განსხვავდებოდენ პირველი კლასისგან წამოყენებული მხედრობა დანარჩენთაგან. მაშინდელი ტეხნიკის შესაფერათ, ისინი საუკეთესოთ იყვნენ შეიარაღებულნი და ამიტომ ჯარის მშვენებათ ითვლებოდენ. ლეგიონის პირველი ოთხი რიგი მათ ეჭირათ. დანარჩენი კლასების რაზმები ზოგი მეოთხე და მეხუთე რიგებში შედიოდენ, ზოგი კიდევ მაშველ რაზმებათ უდგენ გვერდით რომაელ ფალანგას.

სამხედრო ერთეულს იმ დროს, რომელზედაც ჩვენ აქ ლაპარაკი გვაქვს, სწორეთ ეს ფალანგა ანუ (რომაულათ) ლეგიონი წარმოადგენდა. მასში როგორცა ვსთქვით, პირველ ოთხ რიგში მყოფი 4 ათასი კაცი პირველ კლასს ეკუთვნოდენ, დანარჩენ ორ რიგში მყოფნი 2 ათასი კი მეორეს და მესამეს. ამათ უნდა მიუმატოთ 2400 მდიდრათ შეიარაღებულნი, რომელთაც მეოთხე და მეხუთე კლასები იძლეოდენ. ამ გვარათ ჩვენ მივიღებთ ლეგიონის შემადგენელს 8400 კაცს.

ჯარის ასაკრეფათ ქალაქი ოთხ ნაწილათ იყო დაყოფილი. ამ ნაწილებს ჰქონდათ მიწერილი ქალაქის გარეშე მდებარე ადგილები და ყოველი ტრიბა გაწვეულთა ერთ და იმავე რიცხვს ადგენდა ლეგიონისათვის. თვით ჯარის აკრეფა ასე ხდებოდა: კონსულისაგან (ცალკე დეკრეტის საშუალებით) დანიშნულ დღეს მოქალაქეები გამოცხადდებოდენ კაპიტოლს და წილის ყრით არკვევდენ კითხვას ვის უნდა გასულიყო ჯარში და ვინ დარჩენილიყო სახლში. როდესაც საჭირო რიცხვი დაგროვდებოდა, მის კადრებათ დაყოფას შეუდგებოდენ ხოლმე. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ რომში არ არსებობდა მუდმივი კადრები და ყოველი ახალი ჯარი ახლათვე უნდა დარაზმულიყო. ვინც სამშობლოს მოწოდებაზე არ გამოცხადდებოდა ჯარში, მის შესახებ რესპუბლიკის კანონი შემდეგს ბრძანებდა: qui ad dilectum non re pondelánl, út proclilo es lilerfafis n servitutein redigelantir ე. ი. **ვინც სამსახურს მოერიდება, მას, როგორც თავისუფლების მოღალატეს მონობა ელისო.**

ლაშქრათ წასული ლეგიონის მაგიერ სახლში ქალაქის დასაცავად მისი ბადალი რჩებოდა. იგი ხანში შესულთაგან იყო შემდგარი. ძველათ მაშასადამე რესპუბლიკის ჯარი ორ ლეგიონათ იყოფოდა და დაახლოვებით 20 ათას კაცს უდრიდა.

ასეთი ლეგიონი მასსით სამოქმედო იყო მოწყობილი, მას ან ერთიანათ უნდა გაემარჯვნა ან ერთიანათ დამარცხებულიყო რადგან მას შინაგანი მოქნილობა და ინდივიდუალიზაცია აკლდა. გარდა ამისა იგი მხოლოთ ხელჩართული ბრძოლისათვის იყო მოწყობილი, სადაც ლეგიონერს მხოლოთ ხმლით უხდებოდა უმთავრესათ ბრძოლა.

---

## აფიცრები ჯარში.

ვინ იტყვის, რომ აფიცრის დანიშნულება დიდი არ იყოს. ვინ იტყვის დღეს, რომ ერის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა არ ქონდეს იმას, თუ რამდენად შეეფერება თვის მოწოდებას აფიცერი. აფიცრის სამოღვაწო სარბიელი ერთობ ფართოა. აფიცერი ერთნაირათ მასწავლებელია ერის ჯანსაღ ახალგაზდათა. ჯ. კაცობის დროს შეთვისებული, შესისხლხორცებული არ აღმოიფხვრება მათი სულიდან და ჩამომავლობიდან ჩამომავლობას გადაეცემა. აფიცრის მოვალეობაა აღზარდოს ჯ. კაცი ზნეობრივად, ფიზიკურად და სულიერადაც; ამით კი ის გავლენას ახდენს ერის ზნეობაზედაც, აჯანსაღებს ხალხს და ქმნის გმირებად, რომ შემოსეულ მტერს თავს რისხვა დაატეხოს.

აი ამიტომაც უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ჯანსაღი ახალგაზდობა, რომელნიც რამდენიმე წლის ვადით მოწვეულ იქნებიან სამშობლოს წინაშე მოვალეობის მოსახდელად, ჩაუვარდეს ხელში გასაწვრთნელად, მოსამზადებლად სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალულ, ზნეობრივად და გონებრივად ამაღლებულ აფიცრებს. ამას შეუძლია ფრიად დიდი სარგებლობის მოტანა. ამიტომაც ამ თავითვე უნდა მიექცეს დიდი ყურადღება აფიცერთა შემადგენლობას.

აფიცერთა შემადგენლობის არჩევის თუ გადაშინჯვის აუცილებლად ასე უნდა დაისვას საკითხი: ვინ უფრო მცოდნე, ვინ უფრო მომზადებულია მოვალეობის შესასრულებლათ, ვის უკეთესად შეუძლია ემსახუროს სამშობლოს და თავისუფლებას. ჩინს და ორდენს ნაკლები ყურადღება უნდა მიექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეს. ბრჭყვიალა საგნები ყველა ოქრო როდია! იქ სადაც ერის აწმყო და მომავალი სასწორზე უნდა დაიდვას, ყველაფერი ადგილს ცოდნას უთმობს. არავინ უნდა იუკადრისოს, რომ ყოველთვის ჩინის შესაფერ ადგილზე არ მოხვდეს. ,,მცირესა ზედა სარწმუნო იყავ, რათა მრავალთა ზედა დაგაყენო შენო'' იტყოდა ხოლმე უდიდესი მასწავლებელი იესო.

ვიმეორებ, აფიცერთა კადრის შედგენის დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, თუ რომელს როგორი მომზადება აქვს, თუ რამდენად ძლიერია მათში ეროვნული სული და არა იმით, ვინ რომელი ხარისხოვნებისაა (ჩინისა).

ყურადღება უნდა მივაქციოთ აგრეთვე იმასაც, რომ ჩვენ ჯარში მრავლად არიან უცხო ტომთა ისეთი აფიცრები რომელთაც შეიძლება გულიდან ჯერ კიდევ არ ამოშლოდესთ იდეია დიდმყრობელ რუსეთის აღდგენისა ჩვენში...

თ. ჩიქვანაია.

---

## საფრანგეთის მთავარი შტაბი

### (ისტორიული შენიშვნა).

ლეიპციგისა და ვატერლოოს ბრძოლებმა ნაპოლეონის იმპერიაც დამარხეს და მისი სამხედრო ორგანიზაციაც. ახალ მონარქიას არ გასჭირვებია მისი აღდგენა, რადგან მას ბევრი მოეპოვებოდა გამოცდილებით და ცოდნით აღჭურვილი სარდლები. სამხედრო მინისტრმა გუვიონ სენტ-სირმა შეიმუშავა მართლაც პროექტი, რომელიც 6 მაისს 1918 წელს იქმნა დამტკიცებული. პროექტის ძალით შტაბის გარდა უნდა დაარსებულიყო განსაკუთრებული სასწავლებელიც, რომელსაც უნდა მოემზადებია შტაბის ოფიცრები. ახლათ დაარსებული შტაბს 545 ოფიცერი შეადგენდა. ყოველ მათგანს უნდა გაეთავებია სპეციალური (სენ-სირის) შკოლა შემდეგ იგი გადადიოდა ზემოხსენებულ სასწავლებელში, სადაც იგი ორი წლიწადი რჩებოდა, როგორც უმცროსი ოფიცერი ორი წლის შემდეგ აბარებდა გათავების ეკზამენს და გადადიოდა ცხენოსან რაზმში. იგი ორ წელიწადს დაჰყოფდა და იცდებოდა პრაკტიკულათ, ამის შემდეგ იღებდა ლეიტენანტის ხარისხს და შემდეგ გადადიოდა ქვეითა ჯარში ისევ ორის წლის ვადით. ოთხი წლის სამსახურის შემდეგ ახალგაზდა ოფიცერს ეძლეოდა უფლება დაეჭირა რაიმე ადგილი შტაბში, მაგრამ თუ ის არ აღმოჩნდებოდა, იგი განაგრძნობდა რაზმში სამსახურს. რაკი ერთხელ შესდგამდა ასეთი ოფიცერი შტაბში ფეხს, ის აღარ მოშორდებოდა მას ე. ი. აღარ უბრუნდებოდა თავის რაზმს.

კლერმონ-ტონნერის რეფორმამ (1826 წელს) შემდეგი ცვლილებები შეიტანა შტაბის განყოფილებაში. კადრებიდან გამოირიცხენ ოფიცრები officiers genereux. ბატალიონთა უფროსების რიცხვი 10 გადადგა, კაპიტნებისა 25, სამაგიეროთ ლეიტენანტების რიცხვმა იკლო და სხ.

1833 წლის მარშალმა სულტმა გააუქმა კლერმანტონნერის რეფორმები და ისევ გუვიონ სენტ-სირის დროის ორგანიზაციას დაუბრუნდა. კაპიტნების რიცხვი 300-მდე იქმნა აყვანილი. 100 ლეიტენანტმა ხელახლა დაიჭირა თავის ადგილი კადრებში.

ზემოხსენებული სასწავლებელი Ecole d: appl: cation-ი ყოველ წლივ 25 უნცროსი ოფიცერთ იღებდა პოლიტეხნიკუმიდან, რომელთაც ორის წლის და შესაფერი გამოცდის შემდეგ ლეიტენანტის ხარისხს აძლევდა და გზავნიდა შესაფერი გამოცდილების მისაღებათ ინფანტერიის. კავალერიის და ხან-და-ხან არტილერიის რაზმებშიც. 1848 წელს შტაბის ორგანიზაცია ხელახლა შესუსტდა, კადრები შემცირდა და მაგრამ 1851 წელს ყველაფერი შესწორდა ისევ.

ყირიმის ომის დროს შტაბის კადრები რამდენიმეთ გადიდებული იქმნენ, შემდეგში შტაბს თითქმის აღარაფერი შესცვლია. ამ მდგომარეობაში მოასწრო მას პრუსსიასთან ომმა.

შტაბის უმთავრესი ნაკლი ის იყო, რომ იგი დაშორებული იყო ჯარს, შტაბის ოფიცერი ჩვეულებრივ სრულიათ უცნობი იყო იმ რაზმისთვის, რომელსაც იგი წინ უძღოდა ომის დროს. გარდა ამისა მას არ ჰყავდა საკუთარი გამგე. მისი ადგილი სამხედრო მინისტრს ეჭირა.

1870 წლის უბედურებამ აიძულა საფრანგეთი ხელახლა გარდაექმნა შტაბი. 1872 წლის დეკრეტის ძალით დაარსდა კომისსია, რომელსაც დაევალა ახალ პრინციპებზე დაემყარებია შტაბის შექმნის საქმე. კომისსიას უმთავრესათ შემდეგი კითხვა უნდა გადაეწყვიტა: როგორი უნდა ყოფილიყო შტაბი? დამოუკიდებელი, კარჩაკეტილი დაწესებულება, რომლის კარი მხოლოდდროებით იღებოდა ან იკეტებოდა განსაკუთრებული წრის ოფიცერთათვის. მეორე აზრმა გაიმარჯვა და შტაბი service ounert''ათ იქცა. ეს შემდეგს ნიშნავს: შტაბი უნდა შემდგარიყო ისეთ ოფიცერთაგან, რომელიც დროებით შედიოდენ მასში, და შემდეგ ისევ უბრუნდებოდენ რაზმებს.

1874 წლის დეკრეტმა დააწესა მთავარი შტაბი,. მას სათავეში თუმცა საკუთარი გამგე უნდა, მაგრამ იმდენათ იყო დამოკიდებული მინისტრისაგან რომ მისი გადაყენების დროს შტაბიც თავისთავათ უნდა გადამდგარიყო.

ყველამ იცის როგორ ჩქარა იცვლება საფრანგეთში მინისტრთა კაბინეტები. ყველამ იცის აგრეთვე, რომ შტაბის უფროსის წარა-მარა ცვლა დაუშვებელია. ფრანგებიც მიხვდენ ამას 6 მაისს 1890 წელს სამხედრო მინისტრმა ფრეისინემ გაიყვანა პალატაში კანონი რომელიც სპობდა შტაბის უფროსთა ასეთ დაუდევარ მდგომარეობას, თუმცა იგი მაინც დამოკიდებული რჩებოდა სამხედრო მინისტრისაგან. იმის დროს ეს შტაბის უფროსი საგანგებოთ დანიშნული გენერალისიმუსის შტაბის უფროსათ უნდა გამხდარიყო მაგრამ შემდეგში ესეც შეიცვალა. იგი ისევ სამხედრო მინისტრს დაუტოვეს და გენერალისიმუსს ახალი კაცი მიუჩინეს. შტაბის შედგენილობა ესეთი უნდა ყოფილიყო: 30 რაზმის უფროსი (პოლკოვნიკი) 40 თანაშემწე (პოდპოლკოვნიკი) 170 მაიორი, 400 კაპიტანი. ეს იყო მაქსიმუმი ნამდვილათ კი 1903 წელს შტაბი მხოლოთ 18 პოლკოვნიკი, 48 პოდპოლკ., 153 მაიორი და 165 კაპიტანი შედიოდა. შტაბის ოფიცრების მოსამზადებლათ 1878 წ- დაარსებულ იქმნა უმთავრესი სამხედრო აკადემია.

---

## წერილები სხვა და სხვა ქვეყნის პოლიტიკურ წესწყობილებაზე

### ა რ გ ე ნ ტ ი ნ ა

არგენტინის თანამედროვე პოლიტიკური წყობილება ხანგრძლივი ბრძოლის და თავიდარაზის ნაყოფია. არგენტინაში წარმომადგენლობითი რესპუბლიკანური და ფედერატიული წესწყობილება არსებობს. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ეს რესპუბლიკა სავსებით დემოკრატიული რესპუბლიკაა. არგენტინის ფედერალური მთავრობა რომის კათოლიკურ სარწმუნოებას განსაკუთრებულ მფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რველობას უწევს და მით საეკლესიო კითხვებს უკავშირებს პოლიტიკას და სახელმწიფოს.

არგენტინის კონფედერაცია ანუ არგენტინის რესპუბლიკა შესდგება 16 შტატისგან და რამოდენიმე ტერიტორიისაგან. შემადგენელ ნაწილებს, შტატებს არგენტინაში ჰქვიან პროვინციები, რომელთაც თავის საკუთარი კონსტიტუციები და წარმომადგენლობითი რესპუბლიკანური წესწყობილება აქვსთ. პროვინციების კონსტიტუციები არ უნდა ეწინააღმდეგებოდენ კონფედერალურ კონსტიტუციას, რომელიც თავის მხრით უზრუნველყოფს მათი დაწესებულებების ხელუხლებლობას.

აღიარებულია სხვათაშორის ერთად ყოველგვარი პროფესიის და ხელობის უფლებასთან შრომის უფლება. ეს უფრო დეკლარაციაა, ვიდრე რაიმე ღრმა ცვლილება ხალხის სოციალურ სტრუქტურაში. არგენტინაში აღარ არიან ამ კონსტიტუციისადმი ფიცის მიღების შემდეგ ყველა მონა თავისუფალი ხდება. უნდა გვახსოვდეს, რომ არგენტინაში ბევრი ინდიელია მონები. არ არის არავითარი პრივილეგია, არც კლასიური, არც წოდებრივი პოლიტიკური დანაშაულობისთვის სიკვდილით დასჯა აკრძალულია. კერძო საქმე და მოქმედება, თუ საერთო წესრიგს არ არღვევს სასამართლოს არ ექვემდებარება, „ადამიანთა კერძო საქციელს მხოლოდ ღმერთი განაგებსო“ ამბობს კონსტიტუცია.

რათქმა უნდა არგენტინის ყოველი მოქალაქე ვალდებულია იარაღი აისხას სამშობლოს დასაცველათ. მაგრამ შინაური არეულობის თუ მტრის თავდასხმის დროს ცხადდება საალყო წესები და საკონსტიტუციო გარანტიების მოქმედება დროებით ჩერდება.

აღმასრულებელი ძალა-უფლება ეკუთვნის პრეზიდენტს, პრეზიდენტის მაგიერობას სწევს ვიცე—პრეზიდენტი. ორივენი უნდა ეკუთვნოდენ უთუოდ რომის კათოლიკურ ეკლესიას. მათი სათანამდებოვადა ექვსი წელიწადია. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად მესამედ აღარ აირჩევა. ისინი ფიცს სდებენ სენატის თავმჯდომარის წინაშე.

**პ. საყვარელიძე.**

(შემდეგი იქნება)

## კვირეული მიმოხილვა.

**(შინ და გარეთ)**

უკანასკნელ კვირეულ მიმოხილვაში ჩვენ ვსთქვით: ,,გასულმა კვირამ საქართველოს დაცვის დროშის ქვეშ გაიარა და მომავალი კვირაც, გვწამს, ამასვე შეეწირება.‘‘ და მართლაც: ეს მომავალი კვირა დღეს უკვე ისტორიას ჩაბარდა და მან ყველას ცხადათ ანახვა, თუ საქართველო, ქართველი ხალხი როგორაა მომზადებული სამშობლოსა და თავისუფლების დასაცავად. მოზღვავებული კაყური ნება ქვეყნის დასაცავად ამის მღაღადებელია ზეზე წამომდგარი ქალაქი და სოფელი, მოხუცი და ახალგაზდა ამის აშკარა დამამტკიცებელია.

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ არავისთან ვფიქრობდით ომს და არ ვემზადებოდით, იმ დროს, როდესაც სომხეთის მთავრობის მესვეური—დაშნაკცაკანთა ბანაკით მთელი თვეობით ემზადებოდა ჩვენზე თავდასასხმელათ,-მიუხედავათ ამისა, რომ მათ იმ დროს შემოგვიტიეს და აამუშავეს საზღვრებზე თვისი ძალა, როდესაც ჩვენ მორიგებით ვფიქრობდით სადავო საკითხი გადაგვეწყვიტა, — მაინც სომხის ჯარმა ვერ შესძლო ჩვენი ჯარის დამარცხება და ვერც შესძლებს ვერასოდეს, თუ უცხო გარეშე ძალა არ ჩაერია საქმეში და თავისუფლება გვექნა პირდაპირ გავუმკლავდეთ მტერს. ქართველთა ჯარი და სახალხო გვარდია გმირულათ იბრძვის თავისუფლების დასაცავად ამ ბრძოლაში, მთელი ქართველი დემოკრატია ამ ბრძოლაში მათთან არის. მასთან არის ფიზიკურათ, მატერიალურათ და ზნეობრივათ ახალგაზდობა და შუახნის კაცობა, ვისაც შეუძლია იარაღის მარჯვეთ ხმარება, ყველა მიეშურება ფრონტზე. გაიღვიძა და შეიარაღდა თვით მივარდნილი კუთხეებიც. ნაციონალურმა თვით შეგნებამ იფეთქა და გვიჩვენა თვისი ნამდვილი სახე. იგი მზათაა დაიცვას საქართველოს ხელუხლებლობა და უზრუნველყოს მისი თავისუფალი არსებობა. არც ერთს აქტს, ისე ძლიერათ არ გამოხმაურებია ქვეყანა, როგორც ამ თავდაცვის საქმეს, რომელმაც ფეხზე დააყენა საქართველო და გააქანა იგი ბრძოლის ველისაკენ. ესაა საუკეთესო მაჩვენებელი იმისა, თუ რაოდენ განმტკიცებულია ჩვენში შეგნება სამშობლოს და თავისუფლების, შეგნება სახელმწიფოებრივ არსებობის და დამოუკიდებლობის ცხოვრებისა! ერთი მხრივ, თუ ფრონტზე მიეშურებიან,—მეორე მხრივ, აქ დარჩენილნი ზურგს ამაგრებენ და მატერიალურათ ხელს უწყობენ მას. მატერიალური და მორალური ძმური ხელი აკავებს ფრონტს, ამაგრებს ზურგს, რომელსაც მთავრობასთან ერთად საზოგადოებაც სწმენდს და გასაწმენდია, რადგან თვით ჩვენში ბევრი აღმოჩნდა ისეთები, რომელნიც ციხის შიგნიდან გატეხას ლამობდენ მაგრამ ფხიზელმა სმენამ და გამჭრიახმა თვალმა დროზე შენიშნა საქართველოს მტერთა ვერაგული ზრახვანი, და მიუჩინა მათ შესაფერი ადგილი. მუშათა დეპუტატთა საბჭოები, ერთობები, რომელნიც დიდ როლს თამაშობენ მობილიზაციის მწყობრათ ჩატარებაში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში ქალაქის თვითმართველობები და სხვა მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაციები ზე წამომდგარნი გაფაციცებით ეწევიან სამშობლოს დაცვის მძიმე მუშაობას და სოფელთან დაკავშირებულნი, მასთან ხელიხელ ჩაჭიდებულნი ყოველ მხრივ, შეძლებისამებრ, დახმარებას უწევენ მთავრობასა და ფრონტს. ამ მხრივ საინტერესოა განსაკუთრებით სოფლის ხმა, რომელიც მძლავრათ ამაღლდა მზაკვარი მტრის წინააღმდეგ და რაც მეტათ საყურადღებოა, რომელსაც შეუერთდა საქართველოს კუთხეებში (გარდა ტფილისის) მცხოვრებნი სომეხნი, რომელთაც შეუგნიათ მთელი სივაგლახე და სივერაგე სომხეთის მესვეურთა და გვპირდებიან იარაღითაც შეებრძოლონ ჩვენზე მოსულ მტრებს. შეიძლება მათი დაპირება ცხოვრებაში არ გატარდეს, მაგრამ ეს სიტყვაც კი კარგია რადგან იგი აშკარათ გვიჩვენებს ჩვენი საქმის სიმართლეს და ჩვენი მოქმედების ჭეშმარიტებითი ხაზს.

ბრძოლა ფრონტებზე გრძელდება. ყველა მოვალეა მას რითიც შეუძლია მთელი ენერგიის ამოძრავებით მხარი დაუჭიროს და გაამაგროს. საქართველო იბრძვის .თავისუფ-

ლებისათვის, რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცებისათვის და ყველა ერთი ფიქრით, ერთი ნებით, ერთი მოქმედებით მასთან ყოფნას უნდა განაგრძობდენ.

* *
*

უკანვე, დედასთან დაბრუნებული ახალციხის მაზრა სდგამს პრაკტიკულ ნაბიჯებს სამუდამოთ დასაკავშირებლათ და ჩვენთან ერთი გზით სასიარულოთ. ახალციხის მაზრამ, რომელმაც იგემა ოსმალთა ბატონობა შეუდგა თვით ორგანიზაციას, უკვე მოეწყო მაზრის მილიცია. მალე დანარჩენი ორგანიზაციებიც განმტკიცდებიან. პირველ იანვარს გაიხსნება გლეხთა ყრილობა, სადაც ყველა საჭირ—ბოროტო საკითხებს შეეხებიან და გადასწყვეტენ განსაკუთრებით საარსებო საკითხს, მიწის რეფორმის საკითხს. მიწის საკითხის გლეხთა სასარგებლოთ გადაწყვეტა და ცხოვრებაში მისი განხორციელება,—ახალციხის მაზრის გლეხობას საუკუნოებრივი კავშირით დააკავშირებს საქართველოს გულთან და რამდენათ ეს აუ_ილებელია, იმდენათ საქართველოს ხელმძღვანელმა წრეებმა მთელი მუშაობა იქით უნდა მიმართონ. რომ თავისუფლების და დემოკრატიის მონაპოვარი აქ სავსებით განმტკიცდეს.

* *
*

გერმანიის რევოლიუციის საღმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ უკვე გადასდგა ნაბიჯი. უკვე დაიწყო გერმანიის დამფუძნებელი კრების არჩევნები. პარტიები საკუთარი სიებით გამოდიან საარჩევნო ასპარეზზე და სცდილობენ სახელმწიფოებრივი გემის საჭე თვის ხელში ჩაიგდონ. ორ ფრთად გაყოფილი სოციალდემოკრატია ცალ-ცალკე სიით გამოვიდა, მაგრამ არის მიდრეკილება მათი შეერთებისა.

გერმანიაში ბოლშევიზმის შესახებ, რომელიც ბევრს გაჰყიოდენ იქ რევოლიუციის დაწყებისას, დღეს აღარა ისმის რა. და თუ მხედველობაში მივიღებთ ზემოთ აღნიშნულ მიდრეკილებას,—ცხადი გახდება, რომ გერმანიის რევოლიუცია ნორმალური გზით გასწევს კერძოთ გერმანიისა და საზოგადოთ საერთაშორისო დემოკრატიის საკეთილდღეოთ.

* *
*

დეპეშამ და რადიომაც მოიძულა უბედური ავსტროუნგრეთი. მეტისმეტათ ძუნწათ მოდის იქიდან ამბები და ძნელია გარკვევა თუ სახელდობრ რა ხდება იქ. ერთი ნათელია: ავსტროჰუნგრეთის შემადგენელი ერები სახელმწიფოს დარღვევის შემდეგ ყალიბდებიან და როგორც სჩანს, ტერიტორიის შემოფარგვლის საკითხში იარაღით უმასპინძლდებიან ქალაქებს თუ დაბებს. უნდა მოველოდეთ, რომ ახლო მომავალში ეროვნული ტერიტორიალური ჩამოყალიბება დასრულდება და დაისმება საკითხი მათი ურთიერთობის შესახებ.

*
* *

ამგვარსავე ჩამოყალიბების გზას ადგია პოლონეთი და ლატვია. ამ საკითხის გამო პოლონეთს კერძოთ დავაც მოუხთა გერმანიასთან. პოლონეთი უფლებებს აცხადებდა აღმოსავლეთ პრუსიაზე, მაგრამ უკანასკნელი ცნობების მიხედვით, კენიგსბერგის მიტინგები პროტესტს აცხადებენ აღმოსავლეთ პრუსიის პოლონეთთან ან ლატვიასთან შეერთების გამო. ანგარიში უნდა გაუწიოს ხალხის თვითგამორკვევის უფლებას. თუ ამ მხრივ შევხედავთ საკითხს, მაშინ შეიძლება ფინლიანდიას ჩამოშორდეს ალანდიის კუნძული' რომელიც შვეციისაკენ ისწრაფვის.

*
* *

რუსეთში სამოქალაქო ომი მთელი თავისი სისასტიკით მძვინვარებს. ბოლშევიზმთან საბრძოლველათ მოწყობილი კოალიცია,—უფის დირექტორია დაიმალა ანუ სინამდვილეში რომ აღვნიშნოთ, აქ მემარჯვენე ნაწილმა გაიმარჯვა და დემოკრატიის წარმომადგენლები დაატყვევა, მთელი ძალაუფლება გადავიდა რეაქციონერ ადმირალ კოლჩაკის ხელში. დემოკრატია აქედანაც დამარცხებული გამოვიდა და მას მოუხდება ერთი მხრით, ბოლშევიკებთან ბრძოლის გაგრძელება, მეორე—მხრით, რეაქციასთან ბრძოლა. ეს უსანასკნელი ბრძოლა განსაკუთრებით სასტიკი იქნება, რადგან რუსეთის რეაქცია მობილიზაციას შვრება და რგოლათ ერტყმის ბოლშევიკების სამფლობელოს; კონტრ-რევოლიუცია სამხრეთ დასავლეთიდან - დენიკინის ქარი,—და კონტრ-რევოლიუცია —ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან კოლჩაკის ქარი. ბრძოლის სისასტიკეს საზღვარი არ ექნება.

*
* *

უკრაინაში რეაქციონერ გეტმანოსკოროპადსკის მომხრეთა და უკრაინის დამოუკიდებლობის დამცველ პეტლიურას ჯარს შორის ბრძოლა არ დასრულებულა, მიუხედავათ იმისა, რომ პეტლიურა მამაცურათ წინ მიიწევს და იმარჯვებს. გეზი ამ ბრძოლისა გვიჩვენებს, რომ გამარჯვება პეტლიურას დარჩება.

*
* *

საერთოდ: მსოფლიო ცეცხლის შემდეგ მთელი ქვეყნიერობა აფორიაქებულია. არც ერთი ქვეყანა ჯერ კალაპოტში არ ჩამოყალიბებულა და დაუდგომელ დუღილს განიცდის. ეს დუღილი არც აგრე მალე და ადვილათ დასრულდება. მოსალოდნელია კიდევ პოლიტიკურ-სოციალური მიწის ძვრანი. ყოველ შემთხვევისათვის მზათ უნდა ვიყოთ და ვამტკიცოთ სამშობლოს დამოუკიდებლობის და თავისუფლების საქმე.

ვ. მოძველი.

---

# შთაბეჭდილება.

ოცდა ოთხ დეკემბერს მიწას მიაბარეს ქართველი გმირები. ქართველმა ხალხმა, ქართველების დემოკრატიამ მოკრძალვით თავი მოიხარა მათ წინაშე. მადლიერმა ერმა მიაცილა ისინი საუკუნოდ განსასვენებელ ადგილამდის. მშობელ მიწამ გულზე მიიხუტა ღირ'სნი ჩამომავალნი ძველ ქართველ გმირებისა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ და მთავრობის წარმომადგენელმა ხალხის სახელით შეფიცეს მათ, რომ მანამდის არ დახრიან ამოწვდილ მახვილს ძირს, სანამ არ დაამარცხებენ ვერაგულათ შემოსეულ მტერს.

ამ დღემ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ დიახაც შეუძლებელია ქართველი ერის ძლევა, დიახაც მას არავისი არც ეშინია და არც სცხვენია, დიახაც ძალუძს მას დავრდომილთა გამოსარჩლება. ამის მაჩვენებელია ჩვენი ჯარის და სახალხო გვარდიის მოღვაწეობა. ძმათა საფლავზე მათ შეფიცეს გმირთა ხსოვნას სამშობლოს და რევოლიუციის დაცვა სომხის პლუტოკრატიისაგან.

თ. ჩ—ნაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გლეხთა მოძრაობა სამურზაყანოში.

გედევანიშვილის რაზმის ჩასვლამდე კონიევის ჯარმა გაიარა სამურზაყანო, მაგრამ ეს ჯარი დიდ ხანს არ გაჩერებულა იქ.

გზათ გავლილმა კონიევის ჯარმა დიდი ამაგი დასდო შემდგომ მოსულ ჯარებს. საქართველოს მტრებს თავზარი დაეცა გვარდიელების დანახვაზე.

აშკარა იყო, რომ დემოკრატიული მთავრობა არც ისე უძლური იყო, როგორც ამას ხალხში ავრცელებდენ თურქოფილები.

გენ. გედევანიშვილის წინ მრავალი რთული საკითხი იდგა გადასაჭრელათ:

საჭირო იყო უპირველეს ყოვლისა ხალხისთვის თვალი აეხილა, რომ ხალხს შეძლება ჰქონოდა გაერჩია ვინ იყო მტერი, და ვინ მოყვარე. ამასთანავე ერთად საჭირო იყო უდანაშაულო ხალხი არ დაშავებულიყო ჯარის მოქმედები დროს.

მეორე მხრით კი სახელმწიფოს კანონების მთელი სისასტიკით უნდა დასჯილიყო ყველა ის, ვინც შეგნებულათ ხელს უწყობდა ანარქიას და ძირს უთხრიდა სამურზაყანოს და სხვა კუთხეებთან მტკიცე კავშირის დამყარებას.

სამივე ეს საკითხი დიდ შრომას და ფრთხილ ტაქტიკას მოითხოვდენ.

მრავალი მიზეზი ეღობებოდა გენ. გედევანიშვილს და ხელს უშლიდა საქმის კეთილად დაგვირგვინებას.

საქართველოს მტრებმა შესძლეს დაერწმუნებიათ ხალხი, რომ მთავრობის მიერ გამოგზავნილი ჯარი, არ დაინდობს არც დანაშაულს და არც უდანაშაულოს, რომ მისთვის სულ ერთია, ოღონდაც ააოხრონ და გაანადგურონ სამურზაყანო; ამით აიხსნება ის გარემოება, რომ კრებებზე ჯარის ჩასვლისას ხალხი ცოტა მიდიოდა და რაც ქონდათ ოჯახში საოჯახო ნივთების გამოუკლებლათ—ტყეში ჰქონდათ გადამალული.

დიდ გაკვირვებას იწვევდენ ხალხში სოციალისტ-გენერლის სიტყვები, რომ ის გამოგზავნილია დემოკრატიული მთავრობის მიერ წესიერების დასამყარებლათ.

პირველად არავის სჯეროდა თუ გენერლის ტკბილი, ძმური სიტყვები მოსატყუილებლათ არ იყო თქმულნი.

მაგრამ გენ. გედევანიშვილმა გამოიჩინა დიდი გამჭრიახობა და შესძლო დაერწმუნებია სამურზაყანოელნი რომ მთავრობა არავითარ ანგარებით არ არის გატაცებული—არამედ მას სურს დაამყაროს მშვიდობიანობა და ამით შეძლება მისცეს მშვიდობიან ხალხს თავისუფალი, უშიშარი ცხოვრებისა.

ჯარის მეცადინეობამ გასჭრა და ხალხმა შეხედულება შეიცვალა.

უნდობლობა შეიცვალა ნდობით და ბოლოს ყოველ სიტყვას ჯარის ან მთავრობის წარმომადგენლების დიდ ყურადღებით ისმენდენ. ბურუსი იფანტებოდა და სამურზაყანოელ გლეხის მტრის სახე აშკარა ხდებოდა.

ამ მხრივ მიზანი მიღწეულია—აშკარაა დღეს ისე ადვილათ ვე დააჯერებენ ჩვენი მტრები სამურზაყანოელ გლეხებს, რომ საქართველოს მთავრობას სურს ბატონ ყმობის აღდგენა.

მეორე საკითხი უფრო ძნელი მოსაგვარებელი იყო.

ყველასათვის ცხადია, რომ საომარი მომზადების წარმოების დროს ძნელია გარჩევა ვინ არის დამნაშავე ან უდანაშაულო.

ეს სიძნელეც პარტიზანულმა რაზმმა ჩინებულათ სძლია. მან ყოველივე ღონე იხმარა საომარი მოქმედება სრულებითაც არ მომხდარიყო. გენ. გედევანიშვილის, მთავრობის წარმომადგენელთა ჩემიასა და ნარაკიძის და სხვათა მეცადინეობით, მოპირდაპირენი ზედიზედ ნებდებოდენ ჯარს, უბრძოლველად აბარებდენ იარაღს.

სისხლის დაუღვრელათ დამთავრდა დიადი საქმე; მოისპო მთავრობის საწინააღმდეგო ორგანიზაციები.

დღეს უკვე ორგანიზაციული გამოსვლა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ არა მგონია შესაძლებელი იყოს, თუ რასაკვირველია მომავლისთვის საჭირო თადარიგს დავიჭერთ.

სამურზაყანოში დამნაშავეს პოვნა მეტათ გაძნელებულია, რადგანაც პირად ინტერესს, ურთიერთ შორის კერძო ნიადაგზე უკმაყოფილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ საკითხის გამორკვევის დროს. მაგრამ საერთოდ ეს საკითხი ადგილობრივ დამაკმაყოფილებლათ იქნა გადაჭრილი. ყოველ შემთხვევაში აშკარად ეტყობოდა, რომ მთავრობის წარმომადგენელთ კარგათ ჰქონდათ გათვალისწინებული ის ჭეშმარიტება, რომ სჯობია ათი დამნაშავე გაათავისუფლოთვიდრე ერთი უდანაშაულო დასაჯოთ.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯარმა თავისი მოვალეობა პირნათლად აასრულა, მაგრამ ამით საქმე გათავებული არ არის. მოგვარებულია მხოლოდ საქმის პირველი ნახევარი.

აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს განსხვავებული ყურადღება მიექცეს ადგილობრივ მთავრობის მოწყობას. სამურზაყანოში სამწუხაროთ უმეტესი ნაწილი სოფლის კომისრებისა და მილიციონერებისა არიან ყოფილი პოლიციის მსახურნი. არიან მათ შორის ისეთებიც, რომელნიც დღე კომისრებთან არიან, ღამე კი ყაჩაღებთან,—ეს საკითხი თხოულობს ჩვენი მთავრობის განსაკუთრებულ ყურადღებას.

განზრახ არ ვეხებით აქ მიწის საკითხს სამურზაყანოში, რადგანაც ამის შესახებ გვსურს მკითხველს ცალკე წერილით ვესაუბროთ. მხოლოდ აქ საჭიროდ ვრაცხ მივაქციო ყურადღება ვისიც ჯერ არს—დააჩქარონ ამ საკითხის გადაჭრა სამურზაყანოში—რადგანაც ეს ერთი საჭირბოროტო საკითხთაგანია სამურზაყანოელ გლეხისთვის და მისი დროით გადაჭრა დიდათ შეუწყობს ხელს საერთო მშვიდობიანობის დამყარებას.

პოდპორ. იოსავა.

---

## სამხედრო კომისიაში.

წარსულ სხდომაზე სამხედრო კომისიამ მოისმინა შემდეგი მოხსენებანი:

1) ჯარის საადმინისტრაციო განყოფილების უფროსის გენ. ყიფშიძის მოხსენება—ჯარის საკვებავი მასალისა და ჩაცმა-დახურვის მდგომარეობის შესახებ.

2) გენ. ქუთათელაძის მოხსენება—საომარი მასალის მდგომარეობის შესახებ.

3) შტაბის უფროსის გენ. ანდრონიკაშვილის მოხსენება—მობილიზაციის მიმდინარეობის შესახებ.

4) სასანიტარო ინსპექციის უფროსის ბ-ნ მესხიშვილის მოხსენება—ჯარის სასანიტარო ნაწილის მდგომარეობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა მომხსენებელთა მიერ მოწოდებულ მასალებით კომისია სრული კმაყოფილი დარჩა, გარდა მეოთხე საკითხისა, რომლის სათანადო ნიადაგზე დაყენებისათვის საჭიროა დიდი ენერგია და დაუყონებლივ ზომების მიღება. ჯარი უზრუნველყოფილია სანოვაგისა და ჩაცმა-დახურვის მხრით. მობილიზაცია სრულის ნაყოფიერებით მიმდინარეობს. საომარი მასალის მხრითაც ჯარი უზრუნველყოფილია. მხოლოდ სანიტარულ მხარეს სჭირდება გაუმჯობესება და გაფართოება.

კომისიის აზრით, ასეთი საერთო მდგომარეობის მიხედვით მტერზე გამარჯვება შეიძლება ჩაითვალოს სრულიად უზრუნველყოფილად.

---

### საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენო.

მოიხადეთ თქვენი ვალი ჩვენი ერისა და დამოუკიდებლობის დამცველთა წინაშე.

მათი თავგანწირული ბრძოლის მეოხებით ჩვენს ქალაქებში მშვიდათ მყოფნო. მიაწოდეთ სულიერი საზრდო ჩვენს გმირებს, ფრონტზე მებრძოლ რესპუბლიკურ ჯარსა და გვარდიას.

სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილების თაოსნობით თბილისის ქუჩებში დადგმულ ყუთებში ჩაუშვით ახალი ან წაკითხული ჟურნალ გაზეთები, რომელიც ყოველ დღე ეგზავნება ჩვენს დამცველთ ფრონტზე.

**ეს ხომ ყველას შეუძლია!**

**სახალხო უნივერსიტეტის ქართული სექცია.**

---

## პრესა.

24 დეკემბერს სამარეს მივაბარეთ ოცდა ექვსი გმირი სამშობლოსა და თავისუფლების ზვარაკად შეწირული. ამ დღეს ერთმანეთში არეული იყო ცრემლები, მწუხარება, სიხარული და იმედი ჩვენი ახალგაზრდა სახელმწიფოს ბრწყინვალე მომავლისადმი. ამ გმირთა დასაფლავების შესახებ ,,სახ. საქმე'' სწერს:

,,ოც და ექვსი გმირის დასაფლავებაში გამოცხადდა ერის მთლიანობა, ერის აღდგენა, რომელიც არა თუ იყო,—არის და იქნება, რომელიც არა მხოლოდ ცოცხლობდა, არამედ სწადია სიცოცხლე და როგორც ერთი ადამიანი ისე დადგება განსაცდელის ჟამს. ეს იყო ცოცხალი სახე ჩვენი ეროვნებისა, რომელიც შეუმუშავებია ხანგრძლივ მძიმე ისტორიას, ამოძრავება მთელი იმ სულიერი საგანძურის, რომელიც ჩვენის წინაპრების დაუღალავსა მუშაობას და თავგანწირულებას გადმოუცია ჩვენთვის, ეს იყო ამეტყველება იმ ღრმა სიყვარულისა, რომელიც ჩაუნერგავს ჩვენს გულში მშობელს ქვეყანას, დედის თავის რძესთან ერთად!

ჩვენ ვიყავით ერი, ვართ ერი, ვიქნებით ერი!

მართლაც ვერავითარი ძალა ვერ მოსპობს იმ ერს, რომელსაც ისეთი გმირები ჰყავს, როგორიც იყვნენ ახლად სამარეს მიბარებულნი ოც და ექვსი გმირი. მტრები ტყვილა ემზადებიან საზეიმოდ!

* * *

გარეშე ძალის ჩარევის შესახებ ,,ერთობა'' ამბობს:

,,დღეს ომის საკითხში გარეშე ძალა უკვე ჩარეულია, ჩარეულია არა ჩვენის მოწვევით, არამედ ჩვენის ნების გარეშე. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ამ ჩარევის. მაგრამ, რადგან ის მაინც ფაქტათ იქცა, ჩვენ არ შეგვიძლია, როგორც პატარა ერს ანგარიში არ გაუწიოთ მათს ასეთ მოქმედებას, ერთი უფლება კი ჩვენი მაინც უდაოთ უნდა იყოს აღიარებული: ესაა ჩვენი უფლება მოვთხოვოთ ძლიერსაც ის სამართლიანობა, რომელიც განათლებულ კაცობრიობის მორალს და დემოკრატიის სვინდისს შეეფერება... და ამ ელემენტარული უფლებების დარღვევა კი არავის ეპატიება. და ვერც ჩვენი ხელმძღვანელი დაწესებულებები შესძლებენ ასეთი დარღვევის დადასტურებას, რადგან ხალხის ნება და ინტერესი მათთვის უმაღლესი კანონი არის და უმაღლეს კანონათვე უნდა დარჩეს''.

ჩვენ არ გვგონია მოკავშირეთა სახელმწიფოების და კერძოდ ინგლისის ინტერესები მოითხოვდეს ჩვენი სახელმწიფოებრიობის და უფლებების ფეხქვეშ გათელვას. ქართველი ერი ნებით არ დასთმობს მას, რისთვისაც მან ამოდენა სისხლი დაღვარა.

---

## ქრონიკა.

—

ახალქალაქის მიმართულებით სომხისა და ჩვენს ჯარს შორის ბრძოლა იყო. ჩვენმა ჯარმა ტყვეთ წამოიყვანა 20 დეკემბერს 60 ჯარისკაცი, 2 ოფიცერი და წაართვა მტერს 2 ტყვიისმფრქვეველი და 1 ტელეფონის აპარატი.

სანაინის მიმართულებით 20 დეკემბერს მტრის შემოტევა უნაყოფო იყო.

— —

20 დეკემბერს, დილის 7 საათზე ჩვენმა ჯარმა ახალქალაქის მიმართულებით დაამარცხა მტრის ჯარი. ბრძოლის ველზე მტერმა დასტოვა მოკლული 3 ოფიცერი და 100 მეტი ჯარის კაცი, ტყვეთ წამოიყვანა ჩვენმა ჯარმა 1 ოფიცერი 50 ჯარის კაცი. 19 დეკემბერს ეკატერინენფელდთან ბრძოლის დროს მტერს მოუკლა ჩვენმა ჯარმა 230 ჯარის კაცი, 6 ოფიცერი, წაართვა 300 თოფი, 1 ტყვიის მფრქვეველი და ტელეფონი. ჩვენს სახალხო გვარდიას მოუკლეს ამ ბრძოლაში 30 კაცი.

— —

სადახლოსთან 22 დეკემბერს მთელი დღის განმავლობაში ძლიერი ბრძოლა იყო. შულავერში ჩვენს ჯარს ტელეგრაფი და გზები გაუფუჭეს. ჩვენმა ჯარმა აქ მტერი დაამარცხა.

— —

შულავერის და დაღეტ ხაჩინის რაიონში 24 დეკემბრიდან პერთან ბრძოლაა.

— —

25 დეკემბერს ჩვენმა ჯარმა ბრძოლით დაიკავა სოფ. დაგეტ-ხაჩინი. შულავერთან ბრძოლა გრძელდება. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

— —

საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან მიღებული ცნობებით მობილიზაცია ყველგან წესიერად ჩატარდა. მობილიზაციის გარეშე დარჩენილნი მრავლად ეწერებიან მოხალისეებათ.

— —

ეროვნული ბიბლიოთეკა

თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს 19 დეკემბრის სხდომამ ევ. გეგეჭკორის მოხსენების და ნოე ჟორდანიას სიტყვის შემდეგ საქართველო სომხეთის დამოკიდებულების შესახებ მოიწონა საქართველოს მთავრობის ყველა ნაბიჯები და აღუთქვა მას ყოველგვარი დახმარება.

— —

მეკლენბურგის სამთავროში (გერმანიაში) დამფუძნებელი კრების არჩევნებზე შეიდემანის მომხრეებმა გაიყვანეს 22 დეპუტატი, დამოუკიდებელმა ს. დ. 16, დემოკრატებმა —9, და ბალშევიკებმა —8 და კონსერვატორებმა —7.

— —

მოკავშირეები ევროპაში სურსათით დააკმაყოფილებენ ჯერ საკუთარ სახემწიფოებს, შემდეგ ნეიტრალურს, და ბოლოს—მოწინააღმდეგე სახელმწიფოებს.

— —

კრუპპის ქარხნებს მოკავშირეთა ჯარები დაიკავებენ.

— —

პოლონეთის მთავრობასთან მოლაპარაკებაზე მოკავშირეთა ჯარებმა გალიციაში სტანისლავოვი დაიჭირა.

— — —

შვეციის მთავრობამ აუწყა ფინლანდიის მთავრობას, რომ ალანდიის კუნძულის მცხოვრებნი სურვილს გამოსთქვამენ, რათა ეს კუნძული შვეიციას შეუერთდეს.

— —

ბელგიის პალატის მიერ მიღებული სამხედრო კანონპროეკტით ბელგიის ჯარი იქნება მშვიდობიანობის დროს ასი ათასი კაცისაგან შემდგარი, ომის დროს—350 ათასი.

— —

ეკატერინოსლავი გარშემორტყმულია უკრაინის საბჭოთა მთავრობის ჯარების მიერ.

— — —

ადესაში თავმოყრილია გერმანიიდან და ავსტრიიდან მომავალი 2 ათასამდე ქართველი სამხედრო ტყვე, რომელთაც არავითარი საშვალება არ მოეპოვებათ სამშობლოში წამოსასვლელად.

—:—

საგანგებო რაზმმა თფილისში რამდენიმე ათეული პირი დააპატიმრა რომლებიც სომხის ჯარისთვის მოხალისეთა რაზმებს ადგენდენ. სომხეთის რესპუბლიკის ქვეშევრდომი სომეხი ახალგაზრდები რომლებიც სამხედრო ტყვეებათ არიან გამოცხადებულნი, რუსთა ეროვნულ საბჭოს მიმართავენ და სთხოვენ რუსეთის ქვეშერდომებათ ჩასწერონ ისინი.

—:—

ბათუმში მოვიდა ამერიკის მისია პროფესორ ჯატხენის მეთაურობით და ესაუბრა ჩვენს წარმომადგენელს. მოვიდა აგრეთვე ინგლისის მისიის ნაწილი. ჩვენმა წარმომადგენელმა პროტესტი განუცხადა ინგლისის წარმომადგენელს სომხეთის ჯარების მიერ საქართველოს ტერიტორიის გადმოლახვის გამო.

—:—

თფილისის საგანგებო სასამართლოში ძეგვის ხიდის აფეთქების საქმის გარჩევა სწარმოებს.

—:—

ახალციხის სამაზრო გლეხთა წარმომადგენლების ყრილობა გაიხსნება პირველ იანვარს. იქაური ქართველი მაჰმადიანი გლეხები მოითხოვენ მიწის საკითხის იმ გვარათ გადაჭრას, როგორც ეს საქართველოში მოხდა.

—:—

გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ყრილობამ აირჩია აღმასრულებელი საბჭო 27 პირისაგან შემდგარი. დამოუკიდებელ ს. დ. საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ.

—:—

გერმანელთა საერთო მოთხოვნაა, რომ რეინის მიწები გერმანიას დარჩეს. ავსტრიის სილეზიაში ქალაქი გრობაუ ჩეხო-სლოვაკებმა დაიკავეს.

—:—

კენიგსბერგში მიტინგები იმართება და პროტესტს აცხადებენ აღმოსავლეთ პრუსიის ლიტვასთან ან პოლონეთთან შეერთების წინააღმდეგ.

—:—

გერმანიაში დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომპანია სწარმოებს გერმანიის ბევრ ნაწილებში ორივე მიმართულების სოც. დემოკრატები შეერთებას ცთილობენ, მიუხედავათ იმისა, რომ სიები ცალკე გამოაქვეყნეს.

# სავალდებულო დადგენილება.

ქ. თბილისის, აგრედვე გორისა და თელავის მაზრების გენერალ-გუბერნატორისა.

თანახმად მე-19 მუხლის მეხუთე განყოფილების წესწყობილებისა, შესახებ იმ ადგილებისა სადაც სამხედრო წესებია გამოცხადებული ამიდ ვაცხადებთ.

1

სომხების რესპუბლიკის მოქალაქენი და აგრედვე ბორჩალოს მაზრაში მტრის ჯარებისაგან დაკავებულ ადგილებში მცხოვრებნი ჯარში გასაწვევ ჰასაკისანი (18—25 წ.), რომელნიც-კი სცხოვრობენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოცხადებულნი არიან სამხედრო ტყვეებად.

2

ზემოხსენებულ ჰასაკის პირნი ამ დებულების გამოქვეყნებიდან 24 საათში იკრიბებიან ადგილობრივ კომისარიატში, აქედან იგზავნებიან სათანადო სამხედრო მაზრის უფროსის სამმართველოში გარდასაცემათ სამხედრო უწყებისადმი, თანახმად წესებისა, რომლებიც ინიშნებიან „სამხედრო ტყვეთა დებულებაში“ გამოქვეყნებულ სამხედრო უწყების ბრძანებაში რუსეთის სახელმწიფოისა 1914 წ.—№ 697. შემდეგ შესწორებით სამხედრო უწყებისადმი ბრძანებისა 1916 წ.

3

ის პირნი, რომელნიც არ დაემორჩილებიან ამ დადგენილებებს, მიჩნეული იქნებიან საქართველოს რესპუბლიკის მტრებად დატუსაღებულ იქნებიან და მათ ავლა დიდებას მოექცევიან თანახმად მიღებულ კანონმდებლობისა საქართველოს პარლამენტისადმი ამა 24 ქრისტეშობისთვის 1918 წ.

4

თბილისის მილიციის უფროსს სამაზრო და სასოფლო კომისარებს ევალებათ იქონიონ ამ დებულების შესრულებაზე ჯეროვანი ყურადღება და ყოველ ამ ვალდებულების დამრღვეველ პირების ვინაობა დაუყონებლივ მომახსენონ მე.

გენერალ-გუბერნატორი **შ. მაღლაკელიძე.**

სტამბა სამხედრო სამინისტროსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 1 მ. 50 კ.